ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება

რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

გიორგი მჭედლიშვილი

კახეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი და დაგეგმარება

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **ნოდარ ელიზბარაშვილი**

სრული პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2020

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 3

I თავი დაცული ტერიტორიები და ტურიზმი 5

1.1 დაცულ ტერიტორითა კატეგორიები 5

1.2 დაცული ტერიტორიები და ტურიზმი 8

1.3 ეკოტურიზმი 14

II თავი კახეთის დაცული ტერიტორიების შედარებითი გეოგრაფიული ანალიზი 17

2.1 გეოგრაფიული თავისებურებანი 17

2.2 ლანდშაფტური თავისებურებანი 26

2.3 ტურისტული გამოყენება და ინფრასტრუქტურა 34

2.4 ეთნოკულტურული თავისებურებანი 38

III თავი ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების მეთოდოლოგია 42

3.1 ტურისტული ბილიკების დაგეგმარების მეთოდოლოგია (პრინციპები) 42

3.2 საბანაკე ადგილების შერჩევის პრინციპები და მეთოდოლოგია 45

3.3 ხედვის წერტილების დაგეგმარება 47

3.4 ახალი ტურისტული ობიექტების გამოვლენა 49

IV თავი ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმარება კახეთის დაცულ ტერიტორიებზე 52

4.1 ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები 52

4.2 მარიამჯვრის ნაკრძალი 54

4.3 ილტოს აღკვეთილი 57

4.4 თუშეთის დაცული ტერიტორიები 59

დასკვნა: 65

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები: 68

ანოტაცია

ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. ის არეალები, რომლების ტურიზტულ ზონად ჩამიყალიბდა, გამოირჩევიან შედარებით მძლავრი ეკონომიკითა და ცხოვრების მაღალი დონით. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს დაცული ტერიტორიების ქსელი ქმნის საუკეთესო ბაზას ტურიზმის სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვის.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის - კახეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი და დაგეგმარება, წარმოჩენილია გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, როლი ამ პროცესში. I თავში განხილულია მსოფლიო გამოცდილება, რომელიც გვაძლევს პროგნოზირების, სწორი აქცენტების დასმისა და პრობლემათა გადაჭრის მაგალითებს.

ნაშრომში წარმოდგენილია ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების მეთოდოლოგია. წინ არის წამოწეული გეოგრაფიულ კვანძთა თეორია, მისი როლი ტურიზმის განვითარებაში და გამოკვეთილია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე გეოგრაფიული კვანძი. ნაშრომში ასევე აღწერილია ახალი ტურისტული მარშრუტები კახეთის დაცული ტერიტორიებისთვის. განხილულია ის პრობლემები, რომლებიც ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენენ ტურიზმის განვითარებისთვის - უსახელო გეოგრაფიული ობიექტები, ამორტიზირებული გზები, ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა.

ნაშრომის შესაქმნელად გამოყენებულია საველე და კამერალური კვლევის მეთოდები. წარმოდგენილი ინფორმაციის უკეთ აღსაქმელად შეიქმნა რამდენიმე ცხრილი და თემატური რუკები. ნაშრომში მოცემულია ახალ მარშრუტებზე არსებული ობიექტების GPS კოორდინატები.

ვფიქრობთ, მოცემული ნაშრომი დაეხმარება კახეთის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

Annotation

Tourism is one of the leading sectors of our country's economy. The areas, that have been established as tourist areas, are characterized by a relatively strong economy and a high standard of living. As world experience shows, the network of protected areas creates the best basis for the development of various fields of tourism.

The paper discusses the tourism potential and planning of one of the regions of Georgia – Kakheti protected areas, it presents the role of geography as a sience in this process. Chapter I discusses the world experience, which gives us examples of forecasting, putting the right emphases and problem solving.

The paper presents the methodology of planning tourist routes. The theory of geographical nodes is presented, also it's role in the development of tourism and several geographical nodes in the study area are identified. The paper also describes new tourist routes for the protected areas of Kakheti. Problems that are hindering factor for the development of tourism are discussed, such as – unnamed geographical objects, depreciated roads, lack of tourist infrastructure.

Field and camera research methods have been used to create the paper. Several tables and thematic maps were created to better understand the presented information. The paper presents the GPS coordinates of objects on new routes.

We think that this paper will help develop tourism in the protected areas of Kakheti, which, in turn, will help improve the economic situation of the local population.

შესავალი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალურობა უკავშირდება შემდეგ საკითხს: ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა, შესაბამისად ქვეყნის მასშტაბით მისი განვითარება ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. კახეთის მხარე დაცული ტერიტორიების სიმრავლით პირველ ადგილზეა საქართველოში, ხოლო დაცული ტერიტორიები კი, თავის მხრივ, ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას ქმნის ტურიზმის განვითარებისთვის.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კახეთის მხარეში არსებული დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალის შესწავლასა და დაგეგმარებას (მეთოდოლოგიის შემუშავებას). ეს კვლევა საშუალებას მოგვხემს გამოვლინდეს ტურისტთათვის მიმზიდველი გეოგრაფიულ-კულტურული ობიექტები და შეიქმნას ახალი მარშრუტები.

მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1) დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების მსოფლიო გამოცდილების გაანალიზება და ამ გამოცდილების გამოყენება.
2) კახეთის დაცული ტერიტორიების გეოგრაფიული ანალიზი და მისი დაკავშირება ტურიზმის სფეროსთან.
3) ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება და გეოგრაფიის როლის წარმოჩენა ამ საქმიანობაში.
4) უსახელო და „უცნობი“ კულტურულ-გეოგრაფიული ობიექტების წარმოჩენა და ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა. (ლაგოდეხის აღკვეთილი, მარიამჯვრის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორია, ილტოს აღკვეთილი, თუშეთის დაც. ტერიტორიები)

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ღირებულება შემდეგში მდგომარეობს: ნაშრომში ნათლად გამოვლინდება გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, როლი ტურიზმის სფეროს განვითარებაში. მრავალ საკითხთან ერთად წინ არის წამოწეული გეოგრიაფიული კვანძების თეორია, რაც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ ახალ სიტყვას წარმოადგენს გეოგრაფიაში. მზგავსი კვლევა პირველად ტარდება საქართველოში.

გარდა სამეცნიერო ღირებულებისა, ნაშრომს აქვს პრაქტიკული დატვირთვაც: აქ წარმოდგენილი ახალი ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონისა და მთლიანად საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.

ნაშრომი შედგება: ანოტაციის, შესავლის, 4 თავის, 15 ქვეთავისა და დასკვნისაგან.

I თავი
დაცული ტერიტორიები და ტურიზმი

1.1. დაცულ ტერიტორითა კატეგორიები

მსოფლიო მასშტაბით ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებით უზრუნველყოფენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მათგან აღსანიშნავია:

1) ბუნების კონსერვაციის/დაცვის საერთაშორისო კავშირი (ინგლ. International Union for Conservation of Nature; **IUCN**). დაარსდა 1948 წლის ოქტომბერში საფრანგეთის ქალაქ ფონტენბლოში. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ გლანდიში. კავშირი აერთიანებს მსოფლიოს 82 ქვეყანას, 111 სამთავრობო უწყებას, 800 არასამთავრობო ორგანიზაციას და მსოფლიოს 181 ქვეყნის 10 000-ზე მეტ მეცნიერსა და ექსპერტს.
2) გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (იუნესკო), (ინგლ. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization; **UNESCO**). დაარსდა 1945 წლის 16 ნოემბერს. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში. იუნესკო აერთიანებს 195 ქვეყანას. მას 50 წარმომადგენლობითი ოფისი, რამდენიმე ინსტიტუტი და ცენტრი აქვს მსოფლიოში.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ბუნების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც 6 კატეგორიისგან შედგება (ამასთან პირველ კატეგორიაში შედის 2 ქვეკატეგორია):

1) IA. Strict nature reserve — ნაკრძალი — მკაცრი ბუნებრივი რეზერვატი. დასაშვებუა მხოლოდ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევები სპეციალური ნებართვით.

   სახელმწიფო ნაკრძალი შეიძლება დაარსდეს ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიური და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით. სახელმწიფო ნაკრძალისათვის უნდა შეირჩეს ისეთი სიდიდისა და მდგომარეობის სახელმწიფო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების

ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე.

IB. Wilderness area — უკაცრიელი ტერიტორია — ველური ბუნების დასაცავად შექმნილი ტეროტორია. მართვა ხორციელდება სამეცნიერო და ველური ბუნების შენარჩუნების მიზნისთვის.

დაცული ტერიტორიები, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენენ არამოდიფიცირებულ ან უმნიშვნელოდ მოდიფიცირებულ ტერიტორიებს, ინარჩუნებენ თავიანთ ბუნებრივ ხასიათსა და გავლენას, არ განეკუთვნებიან პერმანენტულ ან მნიშვნელოვნად დასახლებულ პუნქტებს და მათი დაცვა და მართვა ხორციელდება მათი ბუნებრივი პირობების შენარჩუნების მიზნით.

2) II. National park — ეროვნული პარკი —მისი მიზანია ეკოსისტემების კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება.

ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი, ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ეროვნული პარკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი, ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციაში.

3) III. Natural monument — ბუნების ძეგლი — მისი მიზანია ბუნებრივი ობიექტების/ღირსშესანიშნაობების დაცვა.

ბუნების ძეგლი არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ.

4) IV. Habitat/species management area — აღკვეთილი — მისი მიზანია შეინარჩუნოს ცხოველთა და მცენარეთა სახეობები და მათი გავრცელების არეალები.

აღკვეთილის კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს სპეციალური აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებები. მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარებაც.

5) V. Protected landscape/seascape — დაცული ლანდშაფტი — მისი მიზანია ხმელეთისა და ზღვის ლანდშაფტების დაცვა და დასვენება.

ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება და ეკოტურიზმის განვითარება კონსერვაციის მიზნების ხელშესაწყობად.

6) VI. Managed resource protected area — მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტეროტორია — დაშვებულია ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს და (ან) აკვატორიას, რომელიც წარმოადგენს წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობის, ნადირობის, თევზრეწვისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების, აგრეთვე, ტურიზმისათვის საჭირო ბუნებრივ საფუძვლებს. დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახლებებსაც. ტერიტორიაზე არ უნდა მოხვდეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნები.[1]

[1] წყარო: https://www.iucn.org/; http://apa.gov.ge/ge/

1.2. დაცული ტერიტორიები და ტურიზმი

ტურიზმის განვითარება შესაძლებელია I კატეგორიის გარდა ყველა ტიპის დაცულ ტეროტორიებზე.

ტურიზმის სფეროში გამოყენებად დაცულ ტეროტორიებს შორის ყველაზე დიდი ისტორია გააჩნია ეროვნულ პარკებს (Yellowstone National Park 1872 წ.). ეროვნული პარკი ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციის მიხედვით მეორე კატეგორიას განეკუთვნება, მისი ერთ-ერთი მიზანი არის ტურიზმის განვითარებაც.

მსოფლიო გამოცდილებისა და ისტორიის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვყოთ ეროვნული პარკების შექმნის სამი ტენდენცია:

1) ეროვნული პარკების შექმნა სპეციალურად ტურიზმის განვითარებისა და დასვენებისთვის. ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ამ ტიპის დაცული ტეროტორიების შექმნის მთავარს საფუძველს სწორედ მისი რეკრეაციული დანიშნულება წარმოადგენს. მაგალითად იელოუსტოუნის ეროვნული პარკი (აშშ) და ბანფის ეროვნული პარკი (კანადა).
2) ეროვნული პარკის სტატუსის მინიჭება იქ, სადაც უკვე არსებობდა ტურისტული მარშრუტები. ასეთ ტერიტორიებზე იქმნება ეროვნული პარკები, თუკი გამოვლინდება უნიკალური ბუნებრივი პირობები, რომლებიც დაცვას საჭიროებენ. ასეთი ტენდენცია უფრო მეტად ევროპის ეროვნული პარკებისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად ბავარიის ტყის ეროვნული პარკი, რომელიც გერმანიასა და ჩეხეთში მდებარეობს.
3) დაცული ტეროტორიების შექმნა უშუალოდ სამეცნიერო და ბუნებისდაცვითი მიზნისთვის (ნაკრძალი) და მის ირგვლივ ან მიმდებარედ მყოფ ტეროტორიაზე ტურისტული მიზნებისთვის ეროვნული პარკის ან აღკვეთილის სტატუსის მინიჭება. ასეთი ტენდენცია მეტწილად დამახასიათებელია პოსტ საბჭოთა ქვეყნებისთვის. ამის მაგალითად შეგვიძლია ვაშლოვანის ეროვნული პარკიც მოვიტანოთ. 1935 წელს დაარსდა ვაშლოვანის ნაკრძალი, ხოლო 2003 წლიდან კი ნაკრძალის, ეროვნული პარკისა და ბუნების ძეგლების ერთიანი კომპლექსი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში გაერთიანდა.[2]

[2] წყარო: http://tourlib.net/statti_tourism/sycheva.htm

კომპლექსური კულტურულ-ესთეტიური ტურების განვითარებასთან ერთად სულ უფრო პოპულარული ხდება IUCN-ის V კატეგორიის დაცული ტეროტორია - **დაცული ლანდშაფტი**. დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრაციულ-ტურისტული, და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის. დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და/ან აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. შესაბამისად, ამ ტიპის დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორებს ეძლევათ საშუალება არა მხოლოდ ესთეტიური ტკბობის, არამედ ადგილობრივი კულტურისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების გაცნობის.

მსოფლიოში ტურიზმის სფეროში დაცული ტერიტორიების გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდილება გააჩნია აშშ-ს, მის დაცულ ტეროტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობით განსაკუთრებით გამოირჩევა იოსემიტისა და იელოუსტოუნის ეროვნული პარკები (აღსანიშნავია, რომ „იელოუსტოუნი“ მსოფლიოში უძველესი ეროვნული პარკია). ბოლო 10 წლის განმავლობაში ვიზიტორთა რეკორდული მაჩვენებელი ორივე დაცულ ტეროტორიაზე დაფიქსირდა 2016 წელს: 5.03 მლნ. - იოსემიტში, ხოლო 4.26 მლნ. - იელოუსტოუნში. ამ ორივე დაცულ ტერიტორიაზე ერთმანეთთან შერწყმულია როგორც მთის ასევე ვაკე რელიეფი. ერთი მხრივ, მთა უზრუნველყოფს ეფექტურ პეიზაჟებს, საშუალო და რთულ საფეხმავლო ბილიკებს, ხოლო მეორე მხრივ, ვაკე რელიეფი მარტივი გადაადგილების საშუალებას იძლევა და დაცული ტერიტორიების მონახულება შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.





ნახ.1-2: *იოსემიტისა და იელოუსტოუნის ეროვნული პარკების ვიზიტორთა ცხრილი 2008-2019 წ.*[3]

[3] წყარო: https://www.statista.com

იმისთვის რომ დაცულ ტერიტორიაზე განვითარდეს ტურიზმი, არ არის საკმარის მხოლოდ ბუნებრივი პირობები, ასევე აუცილებელია კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურაც. კვლავ მოვიყანოთ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული იოსემიტის ეროვნულ პარკის მაგალითი: მისი ფართობი 3 029 კმ^2 -ია, აქ ვიზიტორებს ემსახურება 5 ვიზიტორთა ცენტრი, ასევე 4 სხვადასხვა დანიშნულების საინფორმაციო პუნქტი, მოწყობილია 10 საკემპინგე (საბანაკე) ადგილი; სხვადასხვა სირთულის ბილიკებზე გადაადგილებისთვის მოწყობილია დამხმარე საშუალებები: დაჭაობებულ ტერიტორიაზე გაყვანილია ხის ფიცრებისგან შექმნილი ბილიკი, ხოლო კლდოვან რელიეფზე - ჯაჭვის კიბე და მოაჯირები; ასევე შესაძლებელია გადაადგილება ავტობუსით, ცხენით, მოწყობილია ველობილიკები, არის საჯომარდო და ზამთრის სპორტის ინფრასტრუქტურა და რა თქმა უნდა მარკირებული საფეხმავლო ბილიკები.[4]

[4] წყარო: https://www.nps.gov/yose/index.htm



ნახ. 3: *იოსემიტის ეროვნული პარკის საბანაკე ადგილების სქემა.*

ტურისტულ ბილიკებზე უმნიშვნელოვანესია უსაფრთხოების ზომების მიღება, რაც ბილიკის რთული მონაკვეთების გამარტივებასთან ერთად, გულისხმობს სისტემის შემუშავებას, რომლის დახმარებითაც ფორსმაჟორულ სიტუაციებში მაშველებს გაუმარტივდებათ დაშავებული ან დაკარგული ტურისტის მიგნება. ამისთვის,

მსოფლიოში სულ უფრო პოპულარული ხდება ბილიკების გზაჯვარედინებზე ერთგვარი ყუთების დამონტაჟება, სადაც ტურისტი გავლის დროს ტოვებს ინფორმაციას. ფურცელზე წერს თავის სახელს, დღესა და დროს, თუ როდის იმყოფებოდა აღნიშნულ ადგილას და მომავალ გეგმას, თუ რომელ ბილიკზე აგრძელებს სვლას.

ბიოსფერული რეზერვატი — დაცული ტერიტორია, რომელიც იქმნება მოცემულ რეგიონში ბუნებრივი ეკოსისტემისა და გენოფონდის შენარჩუნების, მასში და მის ირგვლივ არსებული ბუნებრივი გარემოს შესწავლისა და მონიტორინგის მიზნით. ბიოსფერული რეზერვატი იქმნება იუნესკოს ეგიდით საერთაშორისო და ეროვნული პროგრამის საფუძველზე. ორგანიზაცია იუნესკომ მსოფლიო ქსელში ჩართო 564 ბიოსფერული რეზერვატი. ბიოსფერულ რეზერვატებს განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია. ისინი მკაცრად დაცულ ტერიტორიებთან ახლოს იქმნება, რომელთაც წვლილი შეაქვთ ლანდშაფტის, ეკოსისტემების, სახეობების და გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. ბიოსფერულ რეზერვატებს სამი ზონა გააჩნია:

ა) ძირითადი ნაწილი - მკაცრი დაცვის ზონა; ხშირად ეროვნული პარკი ან ნაკრძალი. მისი დანიშნულებაა ბუნებრივი გარემოს, მინიმალური ანთროპოგენული ზეგავლენის მქონე ბუნებრივი კომპლექსების, მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის შეინარჩუნება და აღდგენა.

ბ) ბუფერული ზონა, რომელიც ძირითადი ნაწილის გარშემო მდებარეობს და ხშირად სახეცვლილია ან ადამიანის ჩარევის შედეგად ზეგავლენას განიცდის, მაგრამ ლანდშაფტის შესაბამისი ცხოველებისა და მცენარეების სახეობებისთვის გავრცელების არეს წარმოადგენს; მისი შექმნის მიზანია მკაცრი დაცვის ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე აღკვეთოს სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება.

გ) შუალედური ზონა, სადაც მოქმედების ყველაზე დიდი არეალი არსებობს ადამიანის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიურად მდგრადი განვითარებისათვის.

ტურიზმის განვითარება შესაძლებელია ბ) და გ) ზონაში, ასევე მკაცრი დაცვის ზონაშიც (ა) თუკი ძირითადი ნაწილის დაცული ტერიტორიის კატეგორია ამას არ კრძალავს.



ნახ.4: *ბიოსფერული რეზერვატის სტრუქტურული მოდელი*

1.3. ეკოტურიზმი

„ეკოტურიზმი“ მჭიდროდ უკავშირდება დაცულ ტეროტორიებზე ტურიზმის განვითარებას. ტერმინ „ეკოტურიზმის“ მრავალმხრივი განმარტება არსებობს, ყველაზე ოპტიმალურად შეგვიძლია „მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის“ (UNWTO) განმარტება მივიჩნიოთ: „ეკოტურიზმი - ეს არის გონივრული მოგზაურობა ბუნებრივ ტეროტორიაზე, ადგილობრივი კულტურისა და ბუნებრივი გარემოს უფრო ღრმა შეცნობის მიზნით, რომელიც ეკოსისტემას არ აზიანებს, ამასთანავე გარემოს დაცვას ხდის მომგებიანს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.“

ეკოტურების კლასიფიკაცია შეგვიძლია მოვახდინოთ: გადაადგილების საშუალებების, ტურის მონაწილეთა რაოდენობის, ტურის მიზნის მიხედვით და ა.შ. წარმოვადგინოთ ეკოტურების რამდენიმე კლასიფიკაცია:

1) ტურის კლასიფიკაცია მთავარი მიზანის მიხედვით:

* ტური, რომლის მიზანი არის ბუნებაზე დაკვირვება, მისი შესწავლა, ბიოლოგიურ-გეოგრაფიულ-ეკოლოგიური განათლების ამაღლება. მაგალითად „ფრინველებზე დაკვირვება“ (birdwatching), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს აშშ.-სა და კანადაში. ასეთი ტიპის ტურებისთვის დაცულ

ტეროტორიებზე მოწყობილია სპეციალური ინფრასტრუქტურა: დასაკვირვებელი კოშკურები, დურბინდები და მონოკლები.

* რეკრეაციული ტურები ბუნების წიაღში ემოციური და ესთეტიური მიზნებისთვის. ეს არის ეკოტურების ყველაზე გავრცელებული სახე, რომელთა შორისაც ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს საფეხმავლო ტურები, რომლებიც ეწყობა დაცულ ტერიტორიებზე სპეციალურად მარკირებულ ბილიკებზე. ამ ტიპის მრავალდღიანი ტურები (Trekking) ბილიკების მარკირებასთან ერთად ასევე საჭიროებს საბანაკე ადგილების იფრასტრუქტურის მოწყობას. მარშრუტების გავლა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე საფეხმავლო გიდის დახმარებით.

* სპორტული და სათავგადასავლო ტურები. მაგალითად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კრიუგერის ეროვნულ პარკში ყველაზე პოპულარულ ეკოტურად ითვლება მდინარის ჭორომებზე დაშვება - ჯომარდობა, საფარი, ეროვნული პარკის თავზე საჰაერო ბურთით, მიკროლაინერით ან ვეტმფრენით ფრენა, კვადროციკლებითა და ცხენებით გასეირნება.

2) ტურის კლასიფიკაცია მთავარ მოსანახულებელ ობიექტთა მიხედვით:

* ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეომორფოლოგიური ობიექტების მონახულება. მზგავსი ტიპის ტურებისთვის ყველაზე მეტად მიმზიდველია **IUCN**-ის III კატეგორიის დაცული ტერიტორიები - ბუნების ძეგლი, რადგან იგი კონკრეტულ ბუნებრივ ობიექტს/ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

* ეთნოგრაფიული ტურები სოფლებისა და დაბების ტეროტორიაზე რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ისტორიული იერსახე. აფრიკის, ავსტრალიის, აშშ-სა და სხვა ქვეყნების დაცულ ტეროტორიებზე არსებული დასახლებების მცხოვრებლები მონაწილეობას იღებენ საჩვენებელ რიტუალებში, გამოწყობილები არიან ეროვნულ ტანისამოსში, აწყობენ ლამაზ სანახაობებს. ხოლო ამგვარი ტურებისგან მიღებული ფინანსები ხმარდება ამ დასახლებების მცხოვრებთა კეთილდღეობას.

* არქეოლოგიური ტურები. მაგალითად რუსეთში „სამარის მშვილდის“ ეროვნულ პარკში შემორჩენილია ვოლგის ბულგარეთის IX-XIII ს.-ის უდიდესი ნასახლარები, ასევე რკინისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები, რომელთა კვლევა კვლავ მიმდინარეობს. მათი მონახულება შესაძლებელია სპეციალური ტურების საშუალებით.

* კულტურული ტურები. ასეთი ტურების მთავარ ობიექტს წარმოადგენს კულტურულ-არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები. მაგალითად აშშ.-ს დაცულ ტერიტორიებზე შემონახულია პირველმცხოვრებთა სახლ-მუზეუმები, ბრძოლის ადგილებშე შემორჩენილი ნანგრევები და სანგრები.

მსხვილი ტუროპერატორები, ტურისტულ ბაზარს სთავაზობენ ახალ, კომპლექსური სახის მარშრუტებს, რომლებიც იძლევიან შესაძლებლობას მაქსიმალურად მცირე დროში განსხვავებული ტიპის ტურების გაერთიანებას. მაგალითად: დასვენება ველური ბუნების წიაღში და ამასთანავე ადგილობრივი კულტურის გაცნობა. თანამედროვე პერიოდში დაცულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის განვითარება და ეკოტურიზმის პოპულარიზაცია იწვევს მათი როლის ზრდას ტურიზმის სფეროში.

ამრიგად, ტურიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. წარმოვადგინეთ რა მსოფლიოში დაცული ტერიტორიებისა და ტურიზმის ურთიერთკავშირი, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზგავს ტერიტორიებს აქვთ უდიდესი როლი ამ სფეროს განვითარებაში.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ბუნების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც 6 კატეგორიისგან შედგება, 5 მათგანის გამოყენება შესაძლებელია ტურისტული კუთხითაც. ამასთან ყოველ მათქანს აქვს რა თავისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ნიშნები, თითოეულ მათგანში მოწყობილ ტურთა სპეციფიკაც შესაძლოა იყოს განსხვავებული. შესაბამისად დაცულ ტერიტორიათა ქსელი ქნის ფართო სპექტრს ეკოტურიზმისთვის.

II თავი
კახეთის დაცული ტერიტორიების შედარებითი გეოგრაფიული ანალიზი

2.1. გეოგრაფიული თავისებურებანი

კახეთი — მხარე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების კახეთის, ჰერეთისა (ნაწილობრივ) და თუშეთის ტერიტორიებს. ფართობი: 11 310 კმ2.

კახეთის მხარეში შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული 8 ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეული: ახმეტის, გურჯაანის, თელავის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები.
კახეთის მხარის ლანდშაფტური მრავალფეროვნება განაპირობებს მის ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების სიმრავლეს.

სახელმწიფო ნაკრძალები:

* ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი
* ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი
* ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი
* თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი
* ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი
* მარიამჯვრის სახელმწიფო ნკარძალი

ეროვნული პარკები:

* ვაშლოვანის ეროვნული პარკი
* თუშეთის ეროვნული პარკი

აღკვეთილები:

* ილტოს აღკვეთილი
* იორის აღკვეთილი
* ლაგოდეხის აღკვეთილი

* ყორუღის აღკვეთილი

* ჭაჭუნას აღკვეთილი

ბუნების ძეგლები:

* ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი

* არწივის ხეობის ბუნების ძეგლი

* ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი

დაცული ლანდშაფტი:

*თუშეთის დაცული ლანდშაფტი



ნახ. 5: *კახეთის დაცული ტერიტორიების რუკა*

განვიხილოთ თითოეული დაცული ტეროტორიის გეორაფიული თავისებურებანი ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით:

1) ბაწარა-ბაბანეურისა და ილტოს დაცული ტეროტორიები

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში და 3 დამოუკიდებელი ერთეულისაგან შედგება: ბაწარის (3042 ჰა) და ბაბანეურის (770 ჰა) ნაკრძალებისა და ილტოს აღკვეთილისგან (5273 ჰა).

ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი — მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში, პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს, მდ. ბაწარის ხეობაში. ნაკრძალს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ტბათანის მთა და მისი მიმდებარე მთის მასივი; ჩრდილო-აღმოსავლეთიდან წინაგორის ქედი, რომელიც მდ. ბაწარისა და ტოლიშისხევის წყალგამყოფს წარმოადგენს; სამხრეთიდან მდ. დიდი ველტეხისა და მდ. ბაწარის წყალგამყოფი კეხურისგორის ქედი; დასავლეთიდან კი წოვათას ქედი, რომელიც მდ. ილტოსა და მდ. ბაწარას წყალგამყოფს წარმოადგენს. ბაწარის ნაკრძალის შესასვლელი ახმეტის რაიონის სოფ. ბირკიანიდან 1.5 კმ-ში, ახმეტის ცენტრიდან 25 კმ-ში, ხოლო თბილისიდან 147 კმ-ში მდებარეობს; ნაკრძალის სიმაღლე ზღ.დ.-დან 800-2100 მ.-მდე მერყეობს. დაარსებულია 1935 წელს რელიქტური ჯიშის — **უთხოვრის** ხელუხლებელი კორომების დაცვის მიზნით.

ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი — მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბაბანეურსა და არგოხთან; კავკასიონის მთავარი ქედის კალთების ძირში, ე.წ. კახეთის კავკასიონის მერიდიანულ განშტოებაზე; აღმოსავლეთიდან საზღვრავს ტახტიგორის სერი, დასავლეთიდან - მდ. მაღრაანისფშას ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან - მდ. ბაბანეურისფშას ხეობები; მდებარეობს მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 439-985 მ.-ზე. ბაბანეურის ნაკრძალი თბილისდან დაახლოებით 140 კმ-ში, ხოლო ახმეტის ცენტრიდან 19 კილომეტრში მდებარეობს. ნარკძალი დაარსებულია 1950 წელს მესამეული ხანის რელიქტის — **რცხილაფოთლიანი ძელქვის** იშვიათი მასივის დაცვა-შემონახვის მიზნით.

ილტოს აღკვეთილი — მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ილტოს სათავეში, კახეთის ქედზე. აღკვეთილს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება წოვათის ქედი, რომელიც მას ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალისგან გამოყოფს. მას დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მდ. ილტოს და მდ. ივრის წყალგამყოფი კახეთის ქედი, სამხრეთიდან მდ. კიტარისხევისა და მდ. მშრალიხევის წყალგამყოფი და მდ. ჭირისხევის სამხრეთით მდებარე წყალგამყოფი. ილტოს აღკვეთილის შესასვლელი ახმეტის ცენტრიდან 30 კმ-მდე მანძილზეა, ხოლო თბილისიდან 150 კმ-ზე. მისის სიმაღლე ზღვის დ.-დან 980-2400 მ.-მდე მერყეობს. ილტოს აღკვეთილი 2003 წლის 22 აპრილს შეიქმნა.

მისი მიზანია წიფლის ტყეებისა და ძვირფასი ჯიშების: უთხოვრის, მაღალმთის ბოყვის, ცაცხვის, ნეკერჩხლის, იფნის კორომებისა და ამ ტყისათვის დამახასიათებელი ფაუნის დაცვა და აღდგენა.

2) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში და აერთიანებს შემდეგ დაცულ ტერიტორიებს: ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი; ვაშლოვანის ეროვნული პარკი; არწივის ხეობის, ალაზნის ჭალისა („კაკლის ყურე“) და ტახტი-თეფას ბუნების ძეგლებს. მისი საერთო ფართობი 35 292 ჰა-ს შეადგენს.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები შემოსაზღვრულია მდინარეების ალაზნისა და იორის დეპრესიებით. აღსანიშნავია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რელიეფის მეტად საინტერესო და თავისებური ფორმები. ვაშლოვანი საინტერესოა კლიმატური თვალსაზრისითაც. ის ერთ-ერთი ყველაზე მშრალი და უწყლო უბანია მთელ საქართველოში. აქაური კლიმატი ხასიათდება სიმშრალითა და სითბოს სიუხვით.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი — კომპლექსური ნაკრძალი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, შირაქის ზეგანზე, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. თბილისიდან დაშორებულია 200 კმ-ით, დედოფლისწყაროდან - 50 კმ. ნაკრძალად გამოცხადდა 1935 წელს. საერთო ფართობია 10,143 ჰა, ტყით დაფარულია 4.032 ჰა, დანარჩენი ნაწილი ველებს, ნახევრადუდაბნოს, ხევებსა და ალესილებს უჭირავს.

ვაშლოვანის ეროვნული პარკი — მისი შექმნა განაპირობა ვაშლოვანის ნაკრძალის გარშემო არსებული ნაკლებად სახეშეცვლილი ეკოსისტემების განადგურების საშიშროებამ. აღნიშნული პროცესი საფრთხის ქვეშ აყენებდა როგორც ამ ეკოსისტემებს, ასევე ხელს უშლიდა ვაშლოვანის ნაკრძალის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასაც. ვაშლოვანის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის შექმნა ემსახურება არიდული ეკოსისტემის ბუნებრივ მდგომარეობაში შენარჩუნებასა და ტერიტორიაზე გავრცელებულ მცენარეთა და ცხოველთა იშვიათი სახეობების დაცვასა და აღდგენას. გარდა ამისა, დაცული ტერიტორიების არსებობა ხელს უწყობს გარემოს მონიტორინგს, მეცნიერულ

კვლევებსა და ეკოლოგიურ განათლებას. მისი ფართობი 24 945 ჰა-ს შეადგენს. მდებარეობს ზღვის დონიდან 100-900 მ.-ის სიმაღლეზე.

ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი — ე.წ. „კაკლის ყურე“ წარმოადგენს მდ. ალაზნის მეანდრსს. მისი ყელის სიგანე 30-40 მეტრს არ აღემატება, ხოლო ფართობი 204,4 ჰა. მისი სიმაღლე ზღ.დ.-დან 160-180 მ.-ია. აქ უხვადაა მრავალწლოვანი კაკლები, იფნები, მუხები და თელები, ასევე ჭალის ტყისათვის დამახასიათებელი ბუჩქნარი. ალაზნის ჭალის ბუნების ძეგლი ქ. დედოფლისწყაროდან დაშორებულია 56 კმ.-ით. უახლოესი დასახლებული პუნქტი არის სოფელი ფიროსმანი (დაშორებულია 8 კმ.-ით.).

არწივის ხეობა — ბუნების ძეგლი წარმოადგენს ორი ობიექტისაგან შემდგარ უნიკალურ კომპლექსს. ერთი ნაწილი - კირქვიანი კლდეების კანიონია, მეორე კი მიმდებარე ტყის მონაკვეთი, სადაც მდებარეობს ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრე (V ს.). კანიონში გაედინება კოღოთოსხევი. არწივის ხეობის ბუნების ძეგლის სიმაღლე ზღ.დ.-დან 500-918 მ.-ზე მდებარეობს. უმაღლეს წერტილ მ. ციცაბო წარმოადგენს (918 მ.). მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროს მიმდებარედ.

ტახტი-თეფას ბუნების ძეგლი - წაროადგენს ტალახის ვულკანების (ფსევდო ანუ ეგზოვულკანები) კრატერების ჯგუფს, საიდანაც მუდმივად გადმოდის წყლის, ნავთობის, ტალახისა და აირების ნაზავი. იგი მდებარეობს დალის წყალსაცავის სამხრეთით, ზღვის დონიდან 620 მ სიმაღლეზე. ყველაზე დიდი ტალახის კრატერის დიამეტრი 3,5-4 მ-ია. იგი, ისევე როგორც მის გარშემო განლაგებული მცირე ზომის სასულეები, მუდმივმოქმედია. უახლოესი დასახლებული პუნქტია ქ. დედოფლისწყარო, დაშორებულია 50 კმ.-ით.

3) თუშეთის დაცული ტეროტორიები

თუშეთის დაცული ტერიტორიები აერთიანებს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალს, თუშეთის ეროვნულ პარკსა და თუშეთის დაცულ ლანდშაფტს. მათ მართავს თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, რომელიც მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ალვანში, ხოლო, საზაფხულო ადმინისტრაცია - თუშეთში, სოფ. ომალოში. მოიცავს ისტორიული თუშეთის ტერიტორიას, ასევე პანკისის ხეობის ნაწილს - მდ. ალაზნისა და მდ. სამყურისწყლის სათავეებს.

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი — მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტში. დაარსებულია 1961 წელს, მისი ფართობი 12627,2 ჰექტარია. ნაკრძალი შექმნილია აქ არსებული ბიომრავალფეროვნების, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისა და ენდემურ რელიქტურ მცენარეთა სახეობების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით.

თუშეთის ეროვნული პარკი — მდებარეობს აღმოსავლეთ კავკასიონზე, თუშეთის ქვაბულში, ნაწილობრივ მოიცავს მდინარე ალაზნისა და მდ. სამყურისწყლის სათავეებს, ზღვის დონიდან 900-4492 მ. სიმაღლეზე. მისი ფართობია 83007 ჰექტარი. იგი დაარსდა 2003 წელს. თუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს აღ. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი - ტებულოსმთა (4492 მ.). ეორვნულ პარკს ჩრდილოეთიდან საზღვრავს პირიქითა ქედი; დასავლეთიდან - აწუნთის ქედი; სამხრეთიდან ნაწილობრივ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი, ხოლო ნაწილობრივ მოიცავს მდ. ალაზნისა და მდ. სამყურისწყლის ხეობებს; აღმოსავლეთიდან ემთხვევა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საზღვარს.

თუშეთის დაცული ლანდშაფტი — მდებარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თუშეთის ქვაბულში. მისი ფართობია 27,903 ჰა. დაცული ლანდშაფტი 2003 წელს შეიქმნა და თუშეთის ყველა სოფელს მოიცავს, ასევე სხვა ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს. კერძოდ, პირიქითის ალაზნის და მისი სათავეების – ქვახიდისწყლისა და ლაროვნისწყლის, გომეწრის ალაზნის სათავის (ალაზნისთავის), წოვათის წყლის (წოვათა), ორწყალისა და მისი შენაკადების ხეობებში არსებულ მწყემსების საზაფხულო ბინებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს, ასევე, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობებზე და დიკლოს მთის მახლობლად განლაგებულ საზაფხულო ბინებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. იგი იმისთვის არის შექმნილი, რათა არ დაიკარგოს თუშური სოფლების ტრადიციული იერსახე და შენარჩუნდეს ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტები და ამავე დროს გარემოსათვის ზიანის მიყენების გარეშე მოხდეს ტურიზმისა და ტრადიციული სამეურნეო დარგების წახალისება.

4) ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

მსოფლიოში ერთ-ერთი კარგად შემონახული, პირველყოფილი, ველური ბუნებრივი ლანდშაფტებით მრავალფეროვანი ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები ქ. ლაგოდეხში,

საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე მდებარეობს და ზღ. დ-დან 590-3500 მ-ის სიმაღლემდე ვრცელდება. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მოიცავს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალსა (19755 ჰა) და აღკვეთილს (4500 ჰა).

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი — მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. დაარსდა 1912 წელს პოლონელი ბუნებისმეტყველის ლუდვიკ მლოკოსიევიჩის მიერ. უჭირავს 19755 ჰა, აქედან ტყით დაფარულია 12346 ჰა (72 %), დანარჩენი 5322 ჰა. ალპური საძოვრებია. მისი სიმაღლე ზღ.დ.-დან 450-3500 მ.-მდე მერყეობს. ჩრდილო-აღმოსავლეთინად ნაკრძალს საზღვრავს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი (ე.წ. კახეთის კავკასიონი); სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — საზღვარი ემთხვევა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარს და მიუყვება მდ. მაწიმისწყლის ხეობას; სამხრეთ-დასავლეთიდან ნაკრძალს საზღვრავს ლაგოდეხის აღკვეთილი, რომელიც მოიცავს მთის ქვედა ფერდობებს ალაზნის ველამდე; ჩრდილო-დასავლეთიდან ნაკრძალის მთავარ მონაკვეთს საზღვრავს უღელტეხილის ქედი. ნაკრძალის კიდევ ორი მცირე და საშუალო მონაკვეთი გვხვდება მდ. ჭიაურისა და მდ. კაბალის შუა წელში, ზღ.დ.-დან 900-2200 მ.-ზე. ნაკრძალის ტერიტორიაზე გედინებიან მდინარეები: კაბალი, ჭიაური, ნინოსხევი, შრომისხევი, ლაგოდეხისხევი და მაწიმისწყალი. ტბებიდან აღსანიშნავია: შავი კლდეების ტბა, რომელიც ნაწილობრივ საქართველოს ხოლო ნაწილობრივ რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, ასევე გულის (მალლა-ხელი) და რამდენიმე უსახელო ტბა რომელთა სიმაღლეები ზღ.დ.-დან 2800 მ.-ს აღემატება. მწვერვალებიდან აღსანიშნავია მწ. ხოჩალდაღი (3484 მ. ზღ.დ.-დან).

ლაგოდეხის აღკვეთილი – მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. დაარსდა 2003 წელს, მისი ფართობი 4500 ჰექტარია. მისი ერთი ნაწილი მდებარეობს ლაგოდეხის ნაკრძალის სამხრეთით მთის ქვედა ფერდობებზე მიმდებარე სოფლების გასწვრივ, ხოლო მეორე ნაწილი მდ. კაბალისა და ჭიაურის სათავეების ალპურ სარტყელში. მისი სიმაღლე ზღ. დ.-დან 400-3000 მ.-მდე მერყეობს. ლაგოდეხის აღკვეთილში აღსანიშნავია მდ. კაბალის სათავეებში მდებარე მართოთის ტბა.

5) მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში შედის: მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი (1022,5 ჰა), ყორულის აღკვეთილი (2068 ჰა) და იორის აღკვეთილი (2126,8 ჰა). **მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი** — ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ კალთებზე, ქ. საგარეჯოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, სოფ. ანთოკისა და მარიამჯვრის ჩრდილოეთით მდებარეობს. დაარსდა 1935 წელს. მისი საერთო ფართობია 1022,5 ჰა-ს შეადგენს. მისი სიმაღლე ზღ. დ.-დან 900-1750 მ.-მდე მერყეობს. ნაკრძალის ჩრდილოეთ საზღვარი კლდოვანია. ნაკრძალში არიც მცირე ზომის ბაჩიას ტბა.

ყორულის აღკვეთილი — საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში საგარეჯოსა (1489 ჰა) და გურჯაანის (579 ჰა) მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი განლაგებულია მდ. იორის ხეობაში და წარმოადგენს უსწორო ფორმის ვიწრო ზოლს, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით.

იორის აღკვეთილი — გარე კახეთში, სიღნაღის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს და მისი საერთო ფართობი 2126,8 ჰა-ს შეადგენს. აღკვეთილის ტყეები განლაგებულია მდინარე იორის ხეობაში. იგი ყორულის აღკვეთილის სამხრეთ საზღვართან გამავალ სარწყავ არხთან და დალის წყლის წყალსაცავთან ჭაჭუნის სახელმწიფო აღკვეთილის ჩრდილოეთ საზღვართან მთავრდება. აღკვეთილის ტერიტორიას ორივე მხრიდან სიღნაღის რაიონის მიწის ფონდის სასოფლო სამეურნეო სავარგულები და ძირითადად - საძოვრები ესაზღვრება.[5]

	ფართობი (ჰა)	უმაღლესი წერტილი	უდაბლესი წერტილი
ბაწარა-ბაბანეურისა და ილტოს დაც. ტერიტორიები	9 085	2 400	439
ვაშლოვანის დაც. ტერიტორიები	35 292	918	88
თუშეთის დაც. ტერიტორიები	123 537	4 492	900
ლაგოდეხის დაც. ტერიტორიები	24 255	3 484	400
მარიამჯვრის სახ. ნაკრძალი, ყორულისა და იორის აღკვეთილი	5 216	1 750	300

ნახ. 6: *კახეთის დაცული ტერიტპრიების ძირითადი მახასიათებლები.*

[5] წყარო: http://apa.gov.ge/ge/; რუკათა ანალიზი, საიტი: https://mygeorgia.ge/

2.2. ლანდშაფტური თავისებურებანი

1) ბაწარა-ბაბანეურისა და ილტოს დაცული ტერიტორიები

ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი — ნაკრძალში დაცულია რელიქტური ჯიშის - უთხოვრის ხელუხლებელი კორომები, რომლითაც დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს.

კორომთა რუკების მიხედვით უკანასკნელი ინვენტარიზაციის მიხედვით ფართობები განაწილებულია შემდეგ ნაირად:

რცხილა, ჯაგრცხილა-364,7ჰა (12,1%);

წაბლი-138,3ჰა (4,6%);

წიფელი-2027,8ჰა (68%);

ჭალა-57,9ჰა (2%);

უთხოვარი-236,1ჰა (7,8%)

სხვა-180,2ჰა (6%);

ბაწარის ნაკრძალის ტერიტორიაზე სულ იზრდება 220 000 ძირი უთხოვარი. აქედან უმეტესობა 100 წელზე ნაკლები ასაკისაა, 100 წელზე ხნიერი 13 000 ხეა, ხოლო რამოდენიმე ეგზემპიარი 1200 – 2000 წელს აღწევს.

ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი — ნაკრძალში დაცულია მესამეული ხანის რელიქტის - რცხილაფოთლიანი ძელქვის იშვიათი მასივი. რცხილაფოთლიანი ძელქვა იზრდება როგორც ცალკე კორომებად, ისე რცხილასა და ჯაგრცხილასთან ერთად. შერეულია აგრეთვე ქართული მუხა, მინდვრის ნეკერჩხალი და სხვა. ქვეტყეს ქმნის კუნელი, კვიდო, შინდანწლა, ზღმარტლი, ასკილი.

მეცნიერული თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია კოლხური ბზა (Buxus colchica Pojark.). მისი ორი დაჯგუფება აღნიშნულია ბაბანეურის ნაკრძალში.ნ ამ საინტერესო მცენარის აქ გავრცელების შესახებ ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება არსებობს: პირველი, რომლის მხედვითაც, კოლხური ბზის არსებობა დაკავშირებულია ქართველი ხალხის

ისტორიასთან, ანუ ის საგანდეგოდ, რელიგიური მიზნისთვის იქნა შემოტანილი როგორც წმინდა ხე და გამრავლებული ეკლესიების სიახლოვეს. ხოლო მეორე თეორია მის რელიქტურობაზე მეტყველებს, გამოდის რომ კოლხური ბზა კახეთში ბუნებრივად ყოფილა გავრცელებული, როგორც ერთდროს არსებული მთლიანი არეალის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი (რაც ფრიად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური და ფილოგენეტიკური თვალსაზრისით). ამჟამად კახეთის რეგიონში ცნობილია კოლხური ბზის გავრცელების მინიმუმ 5 წერტილი; მდინარეების ბურსას, სტორის, ილტოს და კისისხევის ხეობებში.

ილტოს აღკვეთილი — აღკვეთილის მიზანია წიფლის ტყეებისა და ძვირფასი ჯიშების: უთხოვრის, მაღალმთის ბოყვის, ცაცხვის, ნეკერჩხლის, იფნის კორომებისა და ამ ტყისათვის დამახასიათებელი ფაუნის დაცვა და აღდგენა.

ბაწარა-ბაბანეურისა და ილტოს დაცულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

* ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, რცხილნარ-მუხნარი, ზოგან წაბლნარი ტყეებით.

* საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, წიფლნარი ტყეებით, რცხილის, იშვიათად წაბლის მონაწილეობით.

* ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, არყის ხისა და აღმოსავლეთ მუხნარი პარკული (ტანბრეცილი) ტყეებით.

* მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.

2) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის დამახასიათებელია ქსეროფიტული ეკლიანი ბალახოვნები, ფართოდაა გავრცელებული ეფემერები და ეფემეროიდები. გვხვდება არიდული მეჩხერი ფოთხოვანი ტყეები, ღვია, შიბლიაკი და ფრიგანა. ასევე გვხვდება ელდარის ფიჭვი, ვაციწვერიან-ეფემერული მცენარეულობა. ბედლენდები ზოგან საერთოდ მოკლებულია ნიადაგ-მცენარეულ საფარს.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

* ვაკე-ბორცვიანი აკუმულაციური ლანდშაფტი, ავშნიანი და ხურხუმოიანი უდაბნოებითა და ნახევრადუდაბნოებით.

* დაბალი მთის არიდულ-დენუდაციური ლანდშაფტი, არიდული მეჩხერი ტყეებით (ფოთლოვანი და ღვიის), იშვიათად შიბლიაკითა და ფრიგანით.

* დაბალი მთის არიდულ-დენიდაციური ლანდშაფტი, ზოგან ბედლენდებით, მთის უდაბნოებით, იშვიათად ღვიისა და ფიჭვის (ელდარის ფიჭვი) მეჩხერი ტყეებით.

3) თუშეთის დაცული ტერიტორიები

თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი — ნაკრძალის ტყეები გამოირჩევა სახეობრივი მრავალფეროვნებით, მაღალი ენდემიზმითა და მეტად სპეციფიკური ბიო-ეკოლოგიურ რელიქტურ სახეობათა არსებობით. ამ ზონაში არსებული სუბალპური არყნარები და დეკიანი კომპლექსები ხასიათდება როგორც ზვავსაწინააღმდეგო, ნაშალდამმაგრებელი და ეროზიასაწინააღმდეგო ცენოზები.

თუშეთის ეროვნული პარკი — ეროვნულ პარკში დაცულია უნიკალური ფიჭვნარი ტყე და წარმოდგენილი ტყის შემქმნელი სახეობები – არყი, მაღალმთის მუხა, ცირცელი, მდგნალი. თუშეთის ეროვნული პარკი გამორჩეულია მაღალი ესთეტიკური ღირებულებების მქონე ლანდშაფტებით, ულამაზესი ალპური მდელოებით, საუცხოოდ შემონახული ფიჭვნარი ტყეებით; ტებულოს (4492 მ.), დიკლოს (4285 მ.) და სხვა მთების მწვერვალებით.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

* ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან პალეოგლაციალური ლანდშაფტი, არყის ხისა და ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის), იშვიათად რცხილნარ-მუხნარი (აღმოსავლეთი მუხის) ტყეებით.

* მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.

* მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოებითა და მეჩხერი ტყეებით.

* მაღალი მთის პელეოგლაციალურ-დენუდაციური ლანდშაფტი, ალპური მდელოებით, დეკიანებთან კომპლექსში.

4) ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი — ნაკრძალს უჭირავს 19749 ჰა, აქედან ტყით დაფარულია 12346 ჰა (72 %), დანარჩენი 5322 ჰა ალპური საძოვრებია. ზღვის დონიდან სიმაღლეების დიდი ამპლიტუდა (450-3500 მ), მკვეთრად დასერილი რელიეფი, სხვადასხვა დაქანებისა და ექსპოზიციის ფერდობები, ღრმა ხევები მდინარეებით ძლიერ განსხვავებულ და რთულ ბუნებრივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს ქმნის, რაც განაპირობებს მცენარეული საფრის მრავალფეროვნებას. აქ მკვეთრადაა გამოსახული ტყის სარტყელი (ზღვის დონიდან 450-2300 მ-მდე) ქართული მუხის მუხნარებით და აღმოსავლური წიფლის წიფლნარებით და ალპური სარტყელი (ზღვის დონიდან 2300-3500 მ) მდელოებით, „ხალებით“ და დეკიანებით. ამ სარტყლებს შორის განლაგებულია სუბალპური მეჩხერი (მაღალმთის მუხისა და ბოკვის) და ტანბრეცილი (არყის) ტყეების სარტყელი (ზღვის დონიდან 1700-2300 მ). ალპური სარტყლის მაღლა სუბნივალური სარტყელია (ზღვის დონიდან 3000 მ) ძლიერ მეჩხერი ბალახნარით. საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების თითქმის 2/3 ნაკრძალშია თავმოყრილი.

ლაგოდეხის აღკვეთილი — აღკვეთილი გამორჩეულია წიფლნარ-რცხილნარი ფართოფოთლოვანი ტყით, მდ. კაბალის სათავეებში იგი წარმოდგენილია სუბალპური და ალპური მდელოებით. აღკვეთილი მოიცავს, აგრეთვე, ტყისა და ალპური მდელოების დამაკავშირებელ ბილიკთა სისტემას.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები:

* ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, რცხილნარ-მუხნარი, ზოგან წაბლნარი ტყეებით.

* საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, წიფლნარი ტყეებით, რცხილის, იშვიათად წაბლის მონაწილეობით.

* მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.

5) მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი

ნაკრძალის შექმნას საფუძვლად კავკასიის რელიქტის - სოსნოვსკის ფიჭვის (Pinus Sosnowsky Nakai) ხელუხლებელი ლანდშაფტების დაცვა-შენარჩუნება დაედო. მათი ანალოგი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არ მოიპოვება. აქ წარმოდგენილია ფიჭვის ხეების ვარჯების სხვადასხვა ფორმებს (პოლიმორფიზმებს) მეტყევე მეცნიერები ყოფენ როგორც პირამიდულს (Pinus Sosnowsky Nakai var. pyramidalis Kurd.), კომპაქტურს (Pinus Sosnowsky Nakai var. compacta Kurd.), ოვალურსა (Pinus Sosnowsky Nakai var. ovalus Kurd.) და ქოლგისებრს (Pinus Sosnowsky Nakai var. umbraculifera Kurd.). ნაკრძალის ფართობის დიდი ნაწილი ტყითაა დაფარული. აქ ხარობს რცხილა, ჯაგრცხილა, მუხა, წიფელი, ნეკერჩხლები, თელა. ქვეტყეში მრავალი სახეობის ბუჩქია.

იორისა და ყორულის აღკვეთილები — ამ აღკვეთილთა შექმნის მიზანია აქ არსებული ტუგაის ტიპის ტყეების ფლორისა და ფაუნის დაცვა, მოვლა და აღწერა.[6]

წარმოგენილ ლანდშაფტთა ძირითადი თავისებურებანი:

1) **ვაკე-ბორცვიანი აკუმულაციური ლანდშაფტი, ავშნიანი და ხურხუმოიანი უდაბნოებითა და ნახევრადუდაბნოებით:**

   ლანდშაფტის სახელწოდება: ელდარის

   ადგილმდებარეობა: გავრცელებულია ივრის ზეგნის სამხრეთ ნაწილში, აზერბაიჯანის საზღვართან.

   რელიეფი: წარმოდგენილია ტალღოვანი და დახრილი ბრტყელზედაპირიანი ვაკეებით, ზოგან არიდულ-დენუდაციური პლატოებით, გავრცელებულია დამრეცი ფერდობები.

   კლიმატი: სუბტროპიკული ზომიერად კონტინენტური.

   ნიადაგები: რუხი ყავისფერი. ტენიანობა: 17-18%

   მცენარეული საფარი: ფლორისტული შემადგენლობით ღარიბია. დამახასიათებელია ქსეროფიტული ეკალბალახოვნები. ფართოდაა

[6] წყარო: ნ. ბერუჩაშვილი „კავკასიის ლანდშაფტური რუკა“ – 1979 წ; http://apa.gov.ge/ge/; https://www.facebook.com/pg/ბაწარა-ბაბანეურის-დაცული-ტერიტორიებიBatsara-Babaneuri-Protected-Areas-149291181796392/notes/?ref=page_internal

გავრცელებული ხურხუმოიანი და ავშნიანი ნახევრადუდაბნოები. ფართოდაა გავრცელებული ეფემერები და ეფემეროიდები.

2) **დაბალი მთის არიდულ-დენუდაციური ლანდშაფტი, არიდული მეჩხერი ტყეებით (ფოთლოვანი და ღვიის), იშვიათად შიბლიაკითა და ფრიგანით.**

ლანდშაფტის სახელწოდება: იორ-ალაზნის

ადგილმდებარეობა: წარმოდგენილია ივრის ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

რელიეფი: არიდულ-დენუდაციური და ეროზიულ დენუდაციური. გავრცელებულია ციცაბო და საშუალო დახრილობის ფერდობებიანი ზედაპირები. იშვიათად გვხვდება ბედლენდები და ქვაბულები.

კლიმატი: სუბტროპიკული სემიარიდული. გარდამავალი ზომიერად თბილ-კონტინენტური.

ნიადაგები: რუხ-ყავისფერი, ყავისფერი.

მცენარეული საფარი: დამახასიათებელია ფოთლოვანი არიდული მეჩხერი ტყეები ღვიის მონაწილეობით. იშვიათად გვხვდება შიბლიაკი და ფრიგანა. ბედლენდები ზოგან საერთოდ მოკლებულია მცენარეულ საფარს.

3) **დაბალი მთის არიდულ-დენიდაციური ლანდშაფტი, ზოგან ბედლენდებით, მთის უდაბნოებით, იშვიათად ღვიისა და ფიჭვის (ელდარის ფიჭვი) მეჩხერი ტყეებით.**

ლანდშაფტის სახელწოდება: ელდარ-ივრის

ადგილმდებარეობა: გვრცელებულია ივრის ზეგნის უკიდურეს სამხ-აღმ ნაწილში, ვაშლოვანის სამხრეთ ფერდობებზე.

რელიეფი: არიდულ-დენუდაციური, ძლიერდანაწევრებული. წარმოდგენილია დაბალი სერებითა და ბედლენდებით. დამახასიათებელია ციცაბო და საშუალო, ზოგანდამრეცი დახრილობის ფერდობებიანი ზედაპირებით.

კლიმატი: სუბტროპიკული არიდული, გარდამავალი ზომიერი სისტადკონტინენტურისკენ.

ნიადაგები: რუხი-ყავისფერი ღია. ციცაბო ფერდობებზე ნიადაგები პრიმიტიულია და ჩამორეცხილი.

მცენარეული საფარი: დამახასიათებელია მთის უდაბნიები. უშვიათად ფიჭვისა (ელდარის ფიჭვი) და ღვიის მეჩხერი ტყეებით. ზოგან გავრცელებულია ვაციწვერიან-ეფემერული მცენარეულობა დამახასიათებელია ეფემერებისა და ეფემეროიდების მონაწილეობა.

4) **ქვედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, რცხილნარ-მუხნარი, ზოგან წაბლნარი ტყეებით.**

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია კახეთის კავკასიონის სამხ. ფერდობზე.

რელიეფი: ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან აკუმულაციური. გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობები. გვხვდება სუსტად დანაწევრებული დამრეცი ფერდობებიც.

კლიმატი: ზომიერად თბილი ჰუმიდური, სუსტადკონტინენტური.

ნიადაგები: ყომრალი სუსტადა არამაძღარი, იშვიათად ტყის ყავისფერი და ნეშომპალა-კარბონატული. ტენიანობა: 33-35%

მცენარეული საფარი: დამახასიათებელია რცხილნარ-მუხნარი და ზოგან წაბლნარი ტყეები. დამრეც ფერდობებზე გვხვდება მეორეული მეზოფიტური ბუჩქნარები.

5) **საშუალო მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, წიფლნარი ტყეებით, რცხილის, იშვიათად წაბლის მონაწილეობით.**

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია კახეთის კავკასიონის სამხ. ფერდობებზე.

რელიეფი: ეროზიულ-დენუდაციური. ციცაბო ფერდობებით. მდინარეთა ხეობები ღრმაა და ქმნის ვიწრო კალაპოტს, ციცაბბო ფერდობიანია და ზოგჯერ კანიონისებრ რელიეფის ფორმებს ქმნის. ხეობები V-სებრი ფორმისაა. რელიეფის დანაწევრების ხარისხი მეტად მაღალია.

კლიმატი: ზომიერად თბილი ჰუმიდური, სუსტადკონტინენტური.

ნიადაგები: ყომრალი სუსტად არამაძღარი, საშუალო და მცირე სიმძლავრის, საშუალო და მძიმე თიხნარი მაქანიკური შემადგენლობის, ხირხატიანი.

მცენარეული საფარი: კლიმატის ჰუმიდურობამ განაპირობა მეზოფილური მცენარეულობის გავრცელება. რითაც იგი განსხვავდება აღმოსავლეთ კავკასიონის სხვა საშუალომთის ტყის ლანდშაფტებისგან. გაბატონებულია სუფთა წიფლნარი ტყეები. უმთავრესად ფოთოლმცვივანი ბუჩქნარებითა და ბალახოვანი საფარით.

6) **ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური ლანდშაფტი, არყის ხისა და აღმოსავლეთ მუხნარი პარკული (ტანბრეცილი) ტყეებით.ლანდშაფტის**

სახელწოდება: გუდანის

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში მცირე ფრაგმენტების სახით.

რელიეფი: ეროზიულ-დენუდაციური, საშუალო დახრილობისა და ციცაბო ფერდობებით.

კლიმატი: ზომიერად ცივი ჰუმიდური.

ნიადაგები: მთა ტყე-მდელოს.

7) **ზედა მთის ეროზიულ-დენუდაციური, ზოგან პალეოგლაციალური ლანდშაფტი, არყის ხისა და ფიჭვის (კავკასიური ფიჭვის), იშვიათად რცხილნარ-მუხნარი (აღმოსავლეთი მუხის) ტყეებით.**

სახელწოდება: ომალო-შენაქო

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია აღმ. საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ჩრდ. ფერდობზე, თუშეთის სალაზნისა და პირიქითა ალაზნის აუზებში.

რელიეფი: ეროზიულ-დენუდაციური, ციცაბო ფერდობებით, ზოგან ეროზიულ-აკუმულაციური და პალეოგლაციალური.

კლიმატი: ზომიერად ცივი ჰუმიდური.

ნიადაგები: მთა-ტყე-მდელოს.

8) **მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოების, ბუჩქნარებისა და მეჩხერი ტყეების კომპლექსით.**

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია აღმ. კავკასიონის ჩრდ. და სამხ. ფერდობებზე.

რელიეფი: დენუდაციური. დამახასიათებელია სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე მოსწორებული ზედაპირები. შემორჩენილია მეოთხეული ვულკანიზმის ნიშნები.

კლიმატი: ზომიერად ცივი ჰუმიდური, სუსტადკონტინენტური.

9) **მაღალი მთის დენუდაციური და პალეოგლაციალური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოებითა და მეჩხერი ტყეებით.**

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია კავკასიონის ჩრდ. ფერდობზე და მცირეკავკასიონზე. გვხვდება პირიქითა ქედის სამხრეთ და არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე.

რელიეფი: გვხვდება ციცაბო და საშუალოდახრილობის ფერდობები, ზოგან კლდოვანი ზედაპირებით. შემორჩენილია მეოთხეული გამყინვარების ნაშთები ცირკების, კარრების, პატარა ტროგებისა და მორენების სახით. გვხვდება რელიეფის პერიგლაციალური ფორმები.

კლიმატი: ზომიერად ცივი ჰუმიდური, სუსტადკონტინენტური.

ნიადაგები: მთა-ტყე-მდელოს კორდიანი, არადიფერენცირებული, მცირე სიმძლავრის პროფილით.

მცენარეული საფარი: სუბალპური მდელოები. ზოგიერთ ხეობაში შემორჩენილია ფიჭვნარი და არყნარი ტყეები, თუმცა შეზღუდული გავრცელებით.

10) **მაღალი მთის პელეოგლაციალურ-დენუდაციური ლანდშაფტი, ალპური მდელოებით, დეკიანებთან კომპლექსში.**

ადგილმდებარეობა: გავრცელებულია აღმ. კავკასიონის ჩრდ. და სამხ. ფერდობებზე.

რელიეფი: თითქმის უწყვეტადაა წარმოდგენილი ძველი გამყინვარების ნაშთები. ბევრია კლდოვანი მასივები. ამგები ქანები ადვილად იფიტება და ინგრევა. უხვადაა წარმოდგენილი: ღორღნალები, ლოდნარები, მორენები.

მცენარეული საფარი: ჩრდ. ფერდობებზე გვხვდება დეკიანები და სხვა სუბალპური ბუჩქნარები.[7]

2.3. ტურისტული გამოყენება და ინფრასტრუქტურა

1) ბაწარა-ბაბანეურისა და ილტოს დაცული ტერიტორიები

ბაწარა-ბაბანეურისა და ილტოს დაცული ტერიტორიების ტურისტილი კუთხით გამოყენება ამ ეტაპისთვის, შეიძლება ითქვას რომ ნულოვანია. ბაწარისა და ბაბანეურის დაცული ტერიტორიების კატეგორია (სახელმწიფო ნაკრძალი) კრძალავს მათ გამოყენებას ტურისტული მიზნებისთვის. რაც შეეხება ილტოს აღკვეთილს - აქ ამ დროისთვის არ არსებობს არც ერთი მარკირებული ბილიკი, შესაბამისად არ არის მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა. ასევე ამორტიზირებულია აღკვეთილამდე მისასვლელი სამანქანე გზა.

2) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები

ვაშლოვანი ტურისტული კუთხით ერთ-ერთ საუკვეთესოდ ათვისებულ დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს. 2003 წლიდან ნაკრძალს, მიემატა ეროვნული პარკისა და ბუნების ძეგლების ერთიანი კომპლექსი და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში გაერთიანდა. მას შემდეგ მისი გამოყენება ტურისტული კუთხითაც გახდა შესაძლებელი.

[7] წყარო: დალი ნიკოლაიშვილი - „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ 2012 წ.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი ქ. დედოფლისწყაროში მდებარეობს. ადმინისტრაციულ კორპუსში ვიზიტორებს საშუალება აქვთ დაათვალიერონ საექსპოზიციო და საპრეზენტაციო დარბაზი, გაეცნონ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თავისებურებებს, მომსახურების ტარიფებს, უსაფრთხოების წესებს და არსებული ტურისტული მარშრუტებიდან მისთვის სასურველი ვარიანტი შეარჩიონ.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ტურისტული მარშრუტების ქსელი ერთი და მრავალდღიანი ლაშქრობების ფართო არჩევანს იძლევა. ბილიკები მარკირებული და კეთილმოწყობილია. ბილიკების გასწვრივ მოწყობილია ბუნგალოები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. ასევე გამოყოფილია ადგილები ცეცხლის დასანთებად. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, გეოლოგიურ, ველო, ფოტო, კულტურულ, საფარი და საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 7 ტურისტული ბილიკია მოწყობილი:

1) არწივის ხეობა
2) პანტიშარა-დათვისხევი
3) ტახტი-თეფას ტალახის ვულკანები
4) კაკლისყურე — ალაზნის ჭალა
5) მიჯნისყურე — შავი მთა
6) მიჯნისყურე — სპორტული თევზაობა
7) ბუღა მოედანი — შავი მთა

ბილიკთა სიმაღლე ზღ. დ.-დან 90-900 მ.-ზე მერყეობს, რაც მათი მონახულების საშუალებას მთელი წლის განმავლობაში იძლევა. მიჯნისყურეში მოწყობილია ღამისსათევები. დაცულ ტერიტორიებზე გვხვდება რამდენიმე რეინჯერთა სადგური, საპიკნიკე და საბანაკე ადგილები.

3) თუშეთის დაცული ტერიტორიები

2003 წლიდან თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალს მიემატა ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტი. მას შემდეგ თუშეთის დაცული ტერიტორიების გამოყენება ტურისტული მიზნებისთვის გახდა შესაძლებელი.

ეროვნულ პარკში მდებარეობს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული შენობა, სადაც ასევე განთავსებულია სასტუმრო ნომრები, კაფეტერია და ვიზიტორთა ცენტრი საგამოფენო დარბაზით, საკონფერენციო დარბაზი, საინტერპრეტაციო და საინფორმაციო დაფები.

ადმინისტრაციაში ვიზიტორებს საშუალება აქვთ დაგეგმონ სხვადახვა სახის ტურები და მიიღონ ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ. ასევე შესაძლებელია გიდის, ცხენის ან ტურისტული აღჭურვილობის დაქირავება. თუშეთის დაცულ ტერიტორიების ადმიანისტაცია ვიზიტორებს თავაზობს 11 ტურისტული მარშრუტს, რომლებიც თუშეთის უნიკალური ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების უდიდეს ნაწილს მოიცავს.

1) ვიზიტორთა ცენტრი
2) კესელო-ქუე
3) დართლო-კვავლო
4) დაქუეხი
5) დიკლო
6) წოვათა
7) გონთა
8) დოჭუ
9) ორეთი
10) სიყვარულის ციხე
11) ომალო-ალაზნისთავი-ხევსურეთი

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მოხვედრა აბანოს საავტომობილო უღელტეხილის გავლით შესაძლებელია მაის - ოქტომბრის თვეებში. წლის დანარჩენ პერიოდში უღელტეხილი დაკეტილია და მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ ვეტმფრენის საშუალებით.

თუშეთის დაცული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი მდებარეობს პანკისის ხეობაში, მდ. ალაზნისა და მდ. სამყურისწყლის სათავეებში. აქ მოხვედრა შესაძლებელია საფეხმავლო ბილიკებით პანკისს ხეობიდან. ბილიკები საყორნოს (2835 მ.), ქოსელისა (2750 მ.) და სამყინვროსწვერის (3167 მ.) უღელტეხილებით უკავშირდება წოვათასა და გომეწრის ხეობას. აღნიშნული ბილიკები არ არის მარკირებული და ტურისტული ინფრასტრიქტურით მოწყობილი.

4) ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

2003 წელს ნაწილობრივ ლაგოდეხის ნაკრძალის, ხოლო ნაწილობრივ მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე დაარსდა ლაგოდეხის აღკვეთილი. მას შემდეგ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურისტული მიზნებით გამოყენება გახდა შესაძლებელი.

დღეისათვის ლაგოდეხის აღკვეთილში მოწყობილია ხუთი ტურისტული მარშრუტი, კერძოდ:

1) როჭოს ჩანჩქერი
2) ნინოსხევის ჩანჩქერი
3) მაჭის ციხე
4) შავი კლდეების ტბა
5) ბუნების შემეცნების ბილიკი

ამ დროისათვის ლაგოდეხის აღკვეთილში მიმდინარეობს მეექვსე - ხის კენწეროების ბილიკის შექმნის სამუშაოები.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ცენტრალური შესასვლელი ინტეგრირებულია ადმინისტრაციულ და ვიზიტორთა კომპლექსთან. ადმინისტრაციულ კორპუსში მოწყობილია საექსპოზიციო და საპრეზენტაციო დარბაზი, სადაც ვიზიტორს შესაძლებლობა ეძლევა გაეცნოს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, ტარიფებს, უსაფრთხოების წესებს და არსებული ტურისტული მარშრუტებიდან მისთვის სასურველი აირჩიოს. შავი კლდეების ტბის ბილიკზე არის მოწყობილი ორი ტურისტული თავშესაფარი: „მეტეო“ (2000 მ. ზღ.დ.) და დემიდოვის ბინა (2650 მ. ზღ.დ.).

ერთდღიან ბილიკთა მონახულება (როჭოს ჩანჩქერი, ნინოსხევის ჩანჩქერი, მაჭის ციხე, ბუნების შემეცნების ბილიკი) შესაძლებელია წლის ნებისმიერ პერიოდში, საუკეთესოა აპრილ - ოქტომბრის თვეები. ხოლო შავი კლდეების ტბის, რომელიც 3 დღიან საფეხმავლო ან საცხენოსნო ბილიკს მოიცავს, მონახულება შესაძლებელია ივნისის თვის მეორე ნახევრიდან - ოქტომბრის თვის პირელი ნახევრის შუალედში.

5) მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში შედის: მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი (1022,5 ჰა), ყორულღის აღკვეთილი (2068 ჰა) და იორის აღკვეთილი (2126,8 ჰა).[8]

ტურისტული მიზნებისთვის შესაძლებელია ყორულღისა და ივრის აღკვეთილის გამოყენება. თუმცა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას დღესდღეობით არ გააჩნია ტურისტებისთვის შესათავაზებელი მარშრუტები, ამასთანავე ყორულღის აღკვეთილის თითქმის ნახევარი გრძელვადიანი იჯარით გადაცემულია სამონადირეო მეურნეობაზე, ამ მონაკვეთის მოსანახულებლად, ტურისტს მოუწევს სამონადირეო მეურნეობის ადმინისტრაციასთან შეთანხმება.

შედარებითი ანალიზი:

თუკი შევაჯამებთ ქვეთავში გადმოცემულ ინფორმაციას შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურისტული მიზნებისთვის დღესდღეობით გამოიყენება მხოლოდ 3 დაცული ტერიტორია (ვაშლოვანის, ლაგოდეხისა და თუშეთის დაც. ტერიტორიები). თუმცა სხვა დაცულ ტერიტორიათა კატეგორიებიც გვაძლევს ამის საშუალებას, მაგრამ არ არსებობს რა სათანადო ინფრასტრუქტურა, ჯერჯერობით მათი გამოყენება ამ სფეროში არ ხდება. ასევე შევადარებთ რა მოცემულ დაცულ ტერიტორიებს, ნათლად გამოჩნდება, რომ ტურისტულ მარშრუტთა რაოდენობა პირდაპირპროპორციულია ამ დაცული ტერიტორიების ფართობის. ასევე ყველაზე უკეთ ათვისებულია ვაშლოვანი (ეს ნაშრომის შემდგომ თავებში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება), რასაც განაპირობებს აქ არსებული მარტივი რელიეფი.

2.4. ეთნოკულტურული თავისებურებანი

ვინაიდან თუშეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს V კატეგორიასაც - **დაცულ ლანდშაფტს**, რომელის მიზანიც არის ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დაცვა. ვფიქრობ, საინტერესოა ამ ტერიტორიის ეთნოკულტურული თავისებურებანის წარმოჩენა.

თუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის შემადგენელი

[8] წყარო: http://apa.gov.ge/ge/

ეთნოკულტურული კუთხეა, იგი შედგება 4 ისტორიული თემისაგან: წოვა, გომეწარი, ჩაღმა და პირიქითი (იგივე ფარსმანის თუშეთი). VI ს.-ში თუშეთი გაქრისტიანების წინააღმდეგი წარმართი მთიელების თავშესაფარი იყო, თუმცა შუა საუკუნეებში ქრისტეს რჯული აქაც გავრცელდა. თუშური კილო, ფშაურ და ხევსურულ კილოებთან ერთად, ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან უფრო მეტი არქაულობით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ თუშეთის ერთ-ერთი თემი ,,წოვებია" მეზობელ ვეინახთა (ჩეჩენ – ინგუშეთში) ენის დიალექტებზე მეტყველებს. XIX ს.-დან დაიწყო თუშთა ჩამოსახლება კახეთის ბარში - ალვანის მიდამოებში. თუშური ტრადიციები ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა, თუმცა რამდენიმე მათგანი დღემდე ცოცხლობს. განვიხილოთ ისინი:

სტუმარმასპინძლობა - ცხენოსანი მგზავრი სოფლის სიახლოვეს ჩამოქვეითდება და ვიდრე არ გასცდება სოფელს, ცხენზე არ შეჯდება. ეს წესი დღესაც ცოცხალია და მას გულდასმით იცავენ. მის დაცვას ელიან სტუმრისაგანაც. სოფელში ამხედრებული გავლა ტრადიციულ საზოგადოებაში მოძალადე მტერთან იყო ასოცირებული და სოფლის შეურაცხყოფას ნიშნავდა. სტუმარმასპინძლობის ადათი რელიგიურ მოტივაციასთანაც იყო დაკავშირებული. სწამთ, რომ სტუმარი ღვთისაა, რომლის ფეხსაც ანგელოზის კვალი მოჰყვება თან. სტუმარი როგორც კი გადააბიჯებს კარის ზღურბლს მშვიდობას უწურვებს ოჯახს, კეთილი იყოს ჩემი ფეხი თქვენს ოჯახშიო იტყვის და დაულოცავს ფუძის, კერისა და ჭერის ანგელოზებს.

ფიც-ვერცხლი - გვაროვნულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორი პიროვნების დაძმობილების და დაძმური შეფიცვის ადათი. დაძმობილების მიზნით იმართებოდა სადილი და ორი მამაკაცი ძმობას შეჰფიცებდა ერთმანეთს, სასმელით სავსე ყანწში ჩათლიდნენ ვერცხლს და ხელგაყრილები შესვამდნენ. ძმობილები ჭირში და ლხინში განუყრელნი იყვნენ. ძმობილისათვის ღალატი და ზურგის შექცევა თემში დიდი სირცხვილი და დანაშაული იყო. ქალ-ვაჟის დაძმური შეფიცვა ხდებოდა ქალის ოჯახში, სადაც გაიშლებოდა სუფრა. სიმტკიცის ნიშნად წყლიან ჭიქაში ვერცხლის ფულს ჩააგდებდნენ, დაძმობას იტყოდნენ და შესვამდნენ. ამის შემდეგ ისინი ფიც-ვერცხლ ნაჭამი დობილ-ძმობილი იყვნენ. უძმო ქალი დაუცველი იყო და მუდამ მოტაცების საფრთხის წინაშე იმყოფებოდა. ამიტომ, გულადი ძმობილი მისი საიმედო საფარი იყო. ძმადნაფიცობის ინსტიტუტი დღესაც ცოცხალია.

ათნიგენობები - თუშეთში საშემოდგომო სამუშაოებს წინ უძღვის ზაფხულის საკულტო დღეობების ციკლი - ათნიგენობები, რომელიც იწყება აღდგომიდან მეასე დღეს და ორი კვირა გრძელდება. ამ დროს ყველა სოფლის მთავარ ჯვარში გარკვეული კალენდარული თანმიმდევრობით ტარდება კულტმსახურება. ათნიგენობის მასპინძელია „შულტა“, სოფლის მიერ ერთი წლით არჩეული ჯვარის ყმა. საათნიგენოდ რამოდენიმე დღით ადრე შულტა მოხარშავს ლუდს, რაშიც მთელი სოფელი ღებულობს მონაწილეობას. შენობა, რომელშიც ლუდი იხარშება, საკრალურია და იქ დედათა წესის ასაკის ქალები არ შედიან. ათნიგენობის, ანუ ჯვარისკრობის სარიტუალო ცერემონიებს უძღვება ხელოსანი ჯვარის მსახური. მხოლოდ მასა აქვს უფლება, გამოაბრძანოს ჯვარის დროშა და ზარების ჟღრიალით ამცნოს მთელს საყმოს ათნიგენობის დაწყება. დროშის გამობრძანების შემდეგ ხელოსანი დალოცავს ალუდიან კოდს, დაამწყალობებს საყმოს, ჯვარის ყველა სტუმარს და სწყალობდესო, სამჯერ შესძახებენ დამსწრე მამაკაცები. ამის შემდეგ მიუსხდებიან ნაკურთხ სუფრას. კაცები ცალკე სხდებიან, ქალები-ცალკე. ათნიგენობაში იციან დოღი და ქორბეღელას გაკეთება. ხუთი კაცი მხარი-მხარს გადახვეული დადგება წრედ და მათ მხრებზე შეადგება სხვა ხუთი. ასე, წაღმა ტრიალით ააქვთ ქორბეღელა საჯარედან (თავმოყრის ადგილიდან) ჯვარისკარამდე (ხატამდე). აქაც სამჯერ შემოტრიალდებიან და ქორბეღელას დაშლიან. ქორბეღელა წარმოადგენს ასტრალური მნათობიღვთაების მაგიურ რიტუალს. პურობის შემდეგ იმართება გასართობი ხასიათის რიტუალური თამაშობანი. გავრცელებულია „ჩათარაობა“ ქალებისა და მამაკაცების ურთიერთშებრძოლების, ტყვედ აყვანისა და გამოსყიდვის ცერემონიალი. ჩათარაობა ეძღვნება მამრულ-მდედრული კოსმიური საწყისების აქტივაციას და სამყაროს შექმნის მაგიურ რიტუალს წარმოადგენს. ათნიგენობის დამთავრების შემდეგ იწყება საშემოდგომო სამუშაოები თიბვების და მოსავლის აღება-დაბინავების სეზონი.[9]

ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა:

- **არქიტექტურული ძეგლები:** როდესაც ვსაუბრობთ თუშეთის არქიტექტურაზე პირველ რიგში თვალწინ წარმოგვიდგება, სამსართულიანი აივნიანი სახლები, რომლებიც ნაგებია ფიქალით, ხოლო გადახურულია დიდი ზომის ბრტყელი სიპი ქვით. იშვიათად გვხვდება 4-5 სართულიანი სახლებიც. პირველი სართული შინაური პირუტყვის სადგომს წარმოადგენს და მას „ბაშტე“ ეწოდება.

[9] წყარო: სერგი მაკალათია „თუშეთი“ - თბილისი, 1983 წ. (ორიგინალი: ტფილისი 1933 წ.); https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/tusheti-nazi/etnosi

აღნიშვნის ღირსია თუშეთისა და პირიქითა ხევსურეთის კოშკები, რომელიც ტიპიური ხევსურული კოშკების სახელითაა ცნობილი, საქართველოს დანარჩენი მხარეების კოშკებისაგან განსხვავებით მკაფიოდ გამოსახული ინდივიდუალობით არის გამორჩეული. საქართველოში იგი მხოლოდ თუშეთში და ხევსურეთშია გავრცელებული, მაგრამ ფართოდ არის ცნობილი ინგუშეთში და ჩრდილოეთ ოსეთში. თუმცა მათგან განსხვავების ქართული კოშკები უფრო დაბალი და განიერია, ასევე ინგუშეთში კოშკები უშუალოდ სოფლებში გხვხება, ხოლო თუშეთ-ხევსურეთში, სოფლის განაპირას. ნაგებია ფიქლითა და გამოყენებულია მშრალი წყობა.

თუშეთში გვხვდება მცირე ზომის მართლმადიებლური ტაძრებიც: შენაქოს წმ. გიორგის ეკლესია (XIX ს.), დართლოს ეკლესია (XIX ს.), ილურთას წმ. გიორგის სახ. ტაძარი.

- **ხელსაქმე**: თუში ქალები დახელოვნებულები არიან ქსოვასა და ნაბდის და თექის თელვაში. საქსოვი ჩხირებით იქსოვებოდა მრავალფეროვანი ორნამენტებით შემკობილი ჩითები და წინდები, ხოლო ხელის საქსოვ დაზგაზე - ფარდაგი. მამაკაცები ამზადებენ ოჯახისათვის საჭირო ავეჯსა და ჭურჭელს. თუშური ავეჯის ორნამენტში ფიგურირებს ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლო - დახრილგვერდებიანი ფოთლოვანი ჯვარი.
- **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა**: სახელგანთქმულია თუშური გუდის ყველი, იგი სამი სახისაა - ცხვრის, ძროხისა და ცხვარ-ძროხის რძისგან დამზადებული. ყველი მზადდება ცხიმმოუხდელი რძისგან. იგი მომწიფებას გადის ცხვრის ან ხბოს ტყავისგან დამზადებულ გუდაში, რომელსაც მოკლედ გაპარსული ბეწვი შიდა მხარეს აქვს მოქცეული.

მუსიკა - თუშურ სასიმღერო მელოდიებში ჭარბობს მინორული ტონალობა. განსხვავებით სასიმღერო მელოდიებისაგან, თუშური საცეკვაო მელოდია და ქორეოგრაფია - მაჟორული ჟღერადობითა და გამომსახველობით ხასიათდება. სალამური, ტრადიციული მწყემსური მუსიკალური ინსტრუმენტი XIX საუკუნეში შემოსულმა გარმონმა შეავიწროვა.[10]

[10] წყარო: https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/tusheti-nazi/etnosi

ამრიგად, კახეთის დაცული ტერიტორიების შედარებითი გეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კახეთის ლანდშაფტური მრავალფეროვნება იძლევა სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა ტიპის ტურისტული მარშრუტების შექმნის საშუალებას. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტირი არის რელიეფი და მისგან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების განფენილობა ზღ. დ.-ის მიხედვით, როგორც ზევით ავღნიშნეთ 88 მ.-დან (მიჯნისყურე) – 4492 მ.-მდე (ტებულოსმთა). მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით (I თავი) იმ დაცულ ტერიტორიებს უფრო მეტი ვიზიტორი სტუმრობს, სადაც ერთდროულადაა რგორც მთა ასევე ბარი, ამ კომპლექსს კი სწორედ კახეთში ვხვდებით. ასევე აღსანიშნავია თუშთა ეთნოკულტურული თავისებურებანი, როგორც მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა (I თავი) მზგავსი ტრადიციები ტურისტული თვალსაზრისითაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის დაცული ტერიტორიების მონახულებას, აღძრავს რა ვიზიტორებში ამ ტრდიციათა გაცნობისა და მათში მონაწილეობის სურვილს.

III თავი
ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების მეთოდოლოგია

3.1. ტურისტული ბილიკების დაგეგმარების მეთოდოლოგია (პრინციპები)

ტურისტული ბილიკის დაგეგმარების დროს, მარშრუტის ვიზუალურ მხარესთან ერთად, მრავალი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო.

პირველ რიგში, ბილიკზე გადაადგილება უნდა იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო. ამისთვის საჭიროა მარშრუტზე მეწყრული და ქვათაცვენის ზონების გამოვლენა და ბილიკის მათგან მოშორებით გაყვანა. ასევე მდინარეთა გადაკვეთის ადგილებზე საჭიროა ხის ან მეტალის კონსტრუქციით შექნილი ხიდების მოწყობა. მკვეთრი დახრილობის ფერდობებზე, თუკი ადგილი ამის საშუალებას იძლევა, ბილიკი უნდა ქმნიდეს სერპანტინებს, რაც გაამარტივებს მარშრუტზე გადაადგილებას და დაიცავს ტურისტს ზედმეტი ტრამვებისგან. ნიშნულებზე უნდა იქნას ადგილის ჯპს კოორდინატები დატანილი, რაც ფორსმაჟორულ სიტუაციებში, ჯპს-ის არქონის ან დაზიანების შემთხვევაში, ტურისტს დაეხმარება მაშველების გამოძახებაში. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საკმაოდ ეფექტურია, ბილიკთა გზაჯვარედინებზე ყუთების

დამონტაჟება, სადაც ტურისტი გავლის დროს ტოვებს ინფორმაციას, რომელიც ფორსმაჟორულ სიტუაციაში მაშველებს ეხმარებათ სწრაფ და ეფექტურ მოქმედებაში. ამ ეტაპზე მზგავსი სისტემა საქართველოში არ არის შემუშავებული.

უაღრესად მნიშვნელოვანია მარშრუტზე სასმელი წყლის არსებობა. ამისთვის საჭიროა ბილიკი კვეთდეს ან მაქსიმალურად ახლოს გადიოდეს იმ ადგილებთან, სადაც სასმელად ვარგისი წყალი მოედინება. შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს წყლის ფილტრაცია - წყაროების მოწყობა. თუკი მთავარი ბილიკი უშუალოდ არ კვეთს წყლის ზონას, საჭიროა მოეწყოს ბილიკის განშტოება, რომელიც დაუკავშირდება წყაროს. მზგავს გზაჯვარედინებზე აუცილებლად უნდა დამონტაჟდეს ნიშნულები, რომლებიც ერთი მხრივ მთავარ ბილიკს, ხოლო მეორე მხრივ წყაროზე მიგვითითებენ. ვფიქრობ, მშრალ ტერიტორიებზე საჭიროა წყლის ავზების დამონტაჟებაც, რაც საქართველოში პრაქტიკულად არ გვხვდება.

იმისთვის, რომ ტურისტმა საკუთარი შესაძლებლობების მიხედვით აირჩიოს მისთვის სასურველი მარშრუტი და შესაბამისად მოემზადოს, საჭიროა მარშრუტის დაგეგმარების დროს გამოვლინდეს ბილიკის სირთულე, მოხდეს მისი დატანა ბროშურებზე, ვიზიტორთა ცენტრებში არსებულ რუკებზე და გაკეთდეს შესაბამისი მარკირება. საქართველოში ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, შეიმუშავა საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის ტექნიკური რეგლამენტი. სირთულის განსასხვავებლად შემუშავებულია სხვადასხვა ფერით მარკირების მეთოდი:

- მარტივი - ყვითელი (თეთრი-ყვითელი-თეთრი)
- საშუალო - წითელი (თეთრი-წითელი-თეთრი)
- რთული - ცისფერი (თეთრი-ცისფერი-თეთრი)

მარკირებები ხეებზე და ქვებზე, როგორც წესი 250-300 მ.-ით უნდა იქნას ერთმანეთისგან დაშორებული, თუმცა ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ზოგ შემთხვევაში მათ შორის არსებული მანძილი გაცილებით დიდი ან მცირეა. თუკი გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, ბილიკის სირთულე იცვლება, უნდა შეიცვალოს მარკირების ფერიც.

ტურისტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბილიკის შესახებ ინფორმაციის ცოდნას. ამისთვის საქართველოში შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, საწყის და საბოლოო წერტილებზე აუცილებლად დაგხვდებათ საინფორმაციო დაფა, რომელზეც აღნიშნულია: მარშრუტის სახელი, დეტალური აღწერა, სირთულე, რუკაზე (ხშირ შემთხვევაში ჰიფსომეტრიულ) დატანილი ბილიკი და რჩევები. ბილიკზე ასევე შეგხვდებათ მიმართულების მაჩვენებელი ნიშნულები ზედ დაწერილი ინფორმაციით, წარწერები ორენოვანია: ქართული და ინგლისური. მანიშნებელ დაფაზე ზედა მხარეს დატანილია მარშრუტით გათვალისწინებული უახლოესი პუნქტი, ხოლო ქვედა ხარეს მარშრუტის საბოლოო დანიშნულების ადგილი. დასახელებების გვერდით არის დატანილი ამ წერტილებამდე მისასვლელი მანძილი და მათ გასავლელად საჭირო საშუალო ხანგრძლივობა. ნიშნულის ბოლო მხარე წაწვეტებულია, რაც ბილიკის მიმართულებას გვიჩვენებს. წვეტის ზედა და ქვედა ნაწილი შესაძლოა იყოს განსხვავებული ფერის. ზედა შეფერილობა გვიჩვენებს უახლოეს პუნქტამდე გასავლელი ბილიკის სირთულეს, ხოლო ქვედა მთლიანი ბილიკის სირთულეს. ნიშნულის ბოძებზე ხშირ შემთხვევაში მიმაგრებულია მცირე ზომის თეთრი დაფა, რომელიც გვიჩვენებს ადგილის სიმაღლეს ზღვის დონიდან და ჯპს კოორდინარებს. მზგავსი ნიშნულები აუცილებლად არის ბილიკის საწყის და საბოლოო წერტილებში, გზაჯვარედნებსა და მნიშვნელოვან ადგილებში.

სურ. 1: *მიმართულების მაჩვენებელი ნიშნული*

3.2. საბანაკე ადგილების შერჩევის პრინციპები და მეთოდოლოგია

მრავალდღიანი ტურისტული მარშრუტები აუცილებლად უნდა იყოს აღჭურვილი საბანაკე ადგილებით.

საბანაკე ადგილის მოსაწყობად, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია რელიეფი - იგი არ უნდა იყოს მკვეთრად დახრილი და ამგვარი ტერიტორიის ფართობი უნდა შეესაბამებოდეს ტურისტული ბილიკის დატვირთვას, რათა დაიტიოს ვიზიტორთა მაქსიმალური შესაძლო რაოდენობა. მეორე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სასმელი წყალი, სასურველია საბანაკე ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობდეს წყარო ან უშუალოდ ბანაკი იყოს აღჭურვილი წყლის ავზებით. ასევე უნდა იყოს გამოყოფილი ცეცხლის დასანთები ადგილები, რომელიც უნდა იყოს იმგვარად მოწყობილი, რომ დაუდევრობის შემთხვევაშიც კი ცეცხლი არ გადაედოს ხე-მცენარეებს (მაგალითად, ირგვლივ შემოვლებული ჰქონდეთ თხრილი). სასურველია ბანაკი აღჭურვილი იყოს საპიკნიკე ინფრასტრუქტურითაც.

შეგვიძლია მოვიყვანოთ საბანაკე ტერიტორიების ორნაირი კლასიფიკაცია:

I) * საბანაკე ტერიტორიები, სადაც უშუალოდ ტრანსპორტით მისვლა არის შესაძლებელი.

როგორც წესი, მზგავს საბანაკეებს, არის რა მარტივად მისასველი, უფრო მეტი ვიზიტორი სტუმრობს და შესაბამისად მოითხოვს ფართე ტერიტორიას. ასეთი ტიპის საბანაკეები ხშირად ეწყობა სათევზაო, სანადირო, საჯომარდე და სხვა მზგავსი დატვირთვის მქონე ტერიტორიებთან (მაგალითად მიჯნისყურე ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებში).

* საბანაკე ტერიტორიები, სადაც მხოლოდ ფეხით ან ცხენით მისვლა არის შესაძლებელი.

როგორც წესი, მზგავს საბანაკეებს შედარებით მცირე რაოდენობის ვიზიტორი ჰყავს, შესაბამისად მისი ტერიტორია შესაძლოა იყოს მცირე. ასეთი საბანაკეების მოწყობის დროს, აუცილებლად გასათვალისწინებელია მანძილი საწყის და საბოლოო პინქტებს შორის: იგი არ უნდა იყოს არც ძალიან მცირე, რის გამოც გაიზრდება მომდევნო დღეს გასავლელი მანძილი და არც ძალიან

დიდი, რაც გაართულებს ერთ დღეში საბანაკემდე მისვლას. საბანაკე პუნქტებს შროს ოპტიმალური მანძილი დაკავშირებულია უშუალოდ ბილიკის სირთულესთან. საშუალო სირთულის მქონე ბილიკებზე საუკეთესო მანძილად შეგვიძლია 9-12 კმ. მივიჩნიოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, გვხვდება ბილიკები, სადაც ეს მანძილი გაცილებით დიდი ან მცირეა.

II) * საბანაკე ტერიტორიები, სადაც მოწყობილია ტუისტული თავშესაფარი.

ტურისტული თავშესაფარი რიგ უპირატესობებს ანიჭებს საბანაკე ტერიტორიას. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ამგვარ თავშესაფრებში ვიზიტორებს, თუკი ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლევა, ზამთრის პერიოდშიც კი თავისუფლად შეუძლიათ ღამის გათევა, ხოლო კარავში ღამისთევის შემთხვევაში ზამთრის პერიოდი მიოთხოვს ძვირადღირებულ აღჭურვილობას. მეორე უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ საფეხმავლო ბილიკზე არსეულ თავშესაფარში ღამისთევის შემთხვევაში, მოლაშქრეს უმარტივდება ბილიკის გავლა, რადგან აღარ უწევს ზედმეტი წონის (კარვის, ძირსაგების) ტარებას. ეს ყველაფერი კი ზრდის მარშრუტზე ვიზიტორთა რაოდენობას.

* საბანაკე ტერიტორიები თავშესაფრის გარეშე.

არსებობს რიგი საბანაკე ტერიტორიები, სადაც არ გვხვდება თავშესაფრები, შესაბამისად აქ ვიზიტორს აუცილებლად უწევს კარავში ღამის გათევა. რაც, ზევით დასახელებული მიზეზების გამო, ამცირებს მარშრუტის დატვირთვას.

საბანაკე ტერიტორიის მოწყობის დროს, აუცილებელია განისაზღვროს, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე ბილიკის ფუნქციონირების პერიოდი. მაგალითად, თუკი მარშრუტზე არ გვხვდება ზვავსაშიში ზონები, მისი დატვირთვა შესაძლებელია ზამთრის პერიოდშიც, შესაბამისად აუცილებელია ტურისტულ თავშესაფარში გათბობისთვის საჭირო ინვენტარის დამონტაჟება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ამის აუცილებლობა არ არსებობს (მაგ. შავი კლდეების ტბის ბილიკი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე).

3.3. ხედვის წერტილების დაგეგმარება

ნებისმიერი ადგილი, საიდანაც ადამიანის თვალისთვის სასიამოვნოდ აღსაქმელი სივრცე იშლება, ტურისტული თვალსაზრისით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ხედვის წერტილად. ასეთ ადგილადებად შეგვიძლია მივიჩნიოთ:

- **მწვერვალები** - ნებისმიერი მწვერვალიდან ადამიანს ეძლევა საშუალება დააკვირდეს ჰორიზონტს (ჰორიზონტალური, უსასრულო სიბრტყე, რომელიც ჩვენი თვალის სიმაღლეზე მდებარეობს და ჰორიზონტალური ხაზის სახით წარმოგვიდგება - ჰორიზონტია.) ქვევით არსებულ სივრცეს, ასევე ირგვლივ მდებარე მწვერვალები, თუკი ისინი უფრო მაღალია ჩვენი ხედვის წერტილზე, წარმოგვიდგებიან ჰორიზონტის ზედა სივრცედ და იქმნება ერთგვარი „ორმაგი“ ეფექტი. რაც მართლაც საოცარი სანახავია და აღფრთოვანებას იწვევს ნებისმიერ ადამიანში. ამასთან გასათვალისწინებელია მწვერვალის დაძლევის სირთულე, იგი უნდა წარმოადგენდეს B1 დონეს, რაც ნიშნავს, რომ მასზე ასვლა შესაძლებელია სპეციალური ალპინისტური აღჭურვილობის გარეშეც.

- **უღელტეხილები** - ნებისმიერი უღელტეხილი შეგვიძლია მივიჩნიოთ ხედვის წერტილად, აქ ტურისტს ეძლევა საშუალება ფერდობის სხვადასხვა მხარეს დააკვირდეს განსხვავებულ ხედებს. სივრცე კვლავ იშლება როგორც ჰორიზონტს ქვევით, ასევე მის ზევით.

- **კლდის ან ხეობის ნაპირები** - კლდისა და ხეობის ნაპირები გვაძლევენ საშუალებას დავაკვირდეთ დიდ პანორამულ სივრცეებს. უშუალოდ კლდეებიც ლამაზ ესთეტიურ სანახაობას წარმოადგენენ. თუმცა ასეთი ადგილები, უსაფრთხოების მხრივ, უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებენ. მათი ხედვის წერტილებად დაგეგმარების დროს, აუცილებელია შესწავლილ იქნას, ხომ არ წარმოადგენენ მეწყერსაშიშ ზონას.

- **ფაუნის წარმომადგენლებზე დასაკვირვებელი პუნქტები** - ადგილები, საიდანაც კარგად ჩანს ფრინველთა და ცხოველთა თავშეყრისა და გადაადგილების არეალები. სულ უფრო პოპულარული ხდება, ტურების კონკრეტული სახეობა - ფრინველებზე დაკვირვება (BirdWatching), რომლის განვითარებისთვის აუცილებელია მზგავსი წერტილების გამოვლენა და დაგეგმარება.

ასევე ხედვის წერტილების დაგეგმარება შეგვიძლია ნებისმიერი მაღალი ესთეტიურობის მქონე ადგილას.

ხედვის წერტილთა გამოვლენისას შეგვიძლია გამოვიყენოთ **GIS** ტექნოლოგიები. 3D რუკები გვაძლევს საშუალებას ნებისმიერი წერტილი, ადგილზე მისვლის გარეშე, ვირტუალურად „გამოვიკვლიოთ“, განვსაზღვროთ თუ რა არეალების, რომელი ხეობების, ქედებისა თუ სხვა გეოგრაფიული ობიექტების დანახვაა შესაძლებელი კონკრეტული ობიექტიდან. შესაბამისად მარტივად გამოვავლენთ ამ წერტილების ესთეტიურ ღირებულებას და გამოვიტანთ დასვკნას, ღირს თუ არა მივიჩნიოთ ტურისტთათვის მიმზიდველ ობიექტად.

ხედვის წერტილების ინფრასტრუქტურა: ხედვის წერტილებზე ხშირ შემთხვევაში მონტაჟდება სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც ქმნის დიდ სიცრცეზე დაკვირვების საშუალებას. ასეთი კონსტრუქცია, როგორც წესი, არის ოდნავ ამაღლებული, რათა მოხდეს ხედვის ჰორიზონტის აწევა, დაკვირვებისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების (მაგალითად ბუჩქი, ლოდი, მიწაყრილი და სხვა) გასანეიტრალებლად. ასეთი კონსტრუქციების მოწყობა არ არის საჭირო მწვერვალებისთვის, რადგან აქ ხედვის ჰორიზონტს არანაირი დაბრკოლება არ ექმნება. ხედვის წერტილებზე შესაძლოა დამონტაჟდეს ბინოკლები და მონოკლები, მაგალითად მათი დამონტაჟება აუცილებელია ფრონველებზე დაკვირვებისთვის (BirdWatching). სასურველია, თავად კონსტრუქციები ვიზუალურად შეესაბამებოდეს ირგვლივ არსებულ გარემოს, რათა ტურისტს არ დაეკარგოს ველური ბუნების შეგრძნება. ამისთვის მნიშვნელოვანია როგორც კონსტრუქციის მასალის სწორი შერჩევა (მაგალითად ყტის ზონებში ხის გამოყენება) ასევე მისი გაფორმებაც, მაგალითად მხოხავი ბუჩქებით - სუროთი.

ოქროს კვეთა - ხელოვნებაში ოდითგანვე ცნობილი არის, მათემატიკური პრინციპების მიხედვით, ჰარმონიული გაყოფა მთელისა ისეთ ორ არატოლ ნაწილად, როდესაც მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდს, როგორც დიდი მთელს. ამ პრინციპს იყენებდნენ მხატვები, არქიტექტორები, თანამედროვე ეპოქაში უკვე ფოტოგრაფებიც. როგორც აღმოჩნდა მზგავსი ჰარმონიული გაყოფა არის უაღრესად სასიამოვნო ადამიანის მხედველობისთვის, მისი ფსიქო-სომატური სამყაროსთვის.

ჩემი აზრით, თუკი გარემო-პირობები გვაძლევს ამის საშუალებას. ოქროს კვეთის გამოყენება საინტერესო იქნება ხედვის წერტილთა დაგეგმარების დროს. მაგალითისთვის: თუკი ერთ ფერდობზე, საიდანაც დავაკვირდებით მოპირდაპირედ არსებულ მწვერვალს, ან კლდეს, ხედვის წერტილს დავაგეგმარებთ ოქროს კვეთის პროპორციით ჰორიზონტთან მიმართებაში. ანუ, ჰოიზონტის ქვედა-მცირე მხარე, ისე უნდა შეეფარდებოდეს ზედა-დიდ მხარეს (მწვერვალის ან კლდის წვერს), როგორც, ჰორიზონტის ზედა-დიდი მხარე, შეეფარდება ხედვის სრულ არეალს. ან პირიქით: ჰორიზონტის ზედა-მცირე მხარე, ისე უნდა შეეფარდებოდეს ჰორიზონტის ქვედა-დიდი მხარეს, როგორც ჰორიზონტის ქვედა-დიდი მხარე შეეფარდება ხედვის სრულ არეალს.

3.4. ახალი ტურისტული ობიექტების გამოვლენა

ტურისტულ ობიექტად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის მთავარი, ან ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტი, რომლის მონახულების მიზნით ეწყობა ესა თუ ის ტურისტული მარშრუტი.

ესენია: რელიგიური და თავდაცვითი ნაგებობები, ნასახლარები, მწვერვალები, ტბები, ჩანჩქერები, კლდოვანი მასივები, უნიკალურ მცენარეულობათა გავრცელების არეალები, ფაუნის წარმომადგენელთა თავშეყრისა და გადაადგილების არეალები.

ასეთი ობიექტების გამოსავლენად საჭიროა: უშუალოდ ადგილის კვლევა (მაგალითად კახეთში, დურუჯის ხეობაში 2010 წელს არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილ იქნა V ს.-ის პირველი ნახევრით დათარიღებული ბაზილიკური ტიპის ტაძარი - დოლოჭოპის ბაზილიკა, რომელიც საქართველოში აგებულ უდიდეს ბაზილიკას წარმოადგენს), რუკათა ანალიზი (რომლის საშუალებითად შესაძლოა გამოვავლინოთ გეოგრაფიული კვანძები), სატელიტური ფოტო მასალის ანალიზი (მაგალითად მყინვართა უკანდახევის შედეგად შესაძლოა წარმოიშვას ახალი ტბები [სტეფანწმინდაში მყინვარ სუათისისა და ყვიბიშის უკანდახევის რამდენიმე ახალი ტბა წარმოიქმნა]).

უსახელო გეოგრაფიული ობიექტები - ახალი ტურისტული ობიექტების გამოვლენის პროცესში, ვაწყდებით პრობლემას: რიგ გეოგრაფიულ ობიექტებს (მწვერვალებს, ტბებს, ჩანჩქერებს) არ აქვთ ოფიციალური სახელწოდება და არ არიან აღნიშნულნი რუკებზე. მაშინ, როდესაც სახელწოდება აუცილებელია ტურისტთა მოსაზიდად. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო მწ. ანწუხელიძე - 2018 წელს ქართლისა და კახეთის ქედების

უმაღლეს და უსახელო მწვერვალს (3276 მ. ზღ.დ.-დან), თავდაცვის სამინისტროს წინადადებითა და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელი მიენიჭა. მას შემეგ მოლაშქრეებში დიდი ინტერესს იწვევს ამ მწვერვალის მონახულება, მაშინ როდესაც იგი, ფაქტობრივად უცნობი იყო. ამასთანავე მწ. ანწუხელიძე წარმოადგენს გეოგრაფიულ კვანძს, იგი ერთმანეთთან აკავშირებს სამ წყალგამყოფ ქედს, შესაბამისად ერთმანეთისგან გამოყოფს სამი მდინარის ხეობას: მდ. ალაზნის, ივრია და ფშავის არაგვის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალ ტურისტულ ობიექტთა გამოვლენისას აუცილებელია მათი სახელდება.

გეოგრაფიული კვანძები - „გეოგრაფიული კვანძი ის არეალია, სადაც მაქსიმალურ მიახლოებაზეა წარმოდგენილი სამი ან მეტი ერთგვაროვანი გეოგრაფიული მახასიათებელი. გეოგრაფიული კვანძები შეიძლება განიხილებოდეს როგორც ფორმების (მარტივი, საშუალოდ რთული და რთული), ისე ტიპების (კომპონენტურ-გეოგრაფიული, დარგობრივ-გეოგრაფიული, გეოგრაფიული) მიხედვით“ *(ნ. ელიზბარაშვილი, ი. დევნოზაშვილი „საქართველოს გეოგრაფია“ 4).* გეოგრაფიულ კვანძთა თეორია შეგვიძლია გამოვიყენოთ ახალი ტურისტული ობიექტების გამოვლენისას:

- **ოროგრაფიული კვანძები** - ოროგრაფიულ კვანძად შეიძლება მივიჩნიოთ ის ადგილი, სადაც თავს იყრის რამდენიმე ქედი თავისი განშტოებებით. იგი ძირითადად მწვერვალთა არეალებშია წარმოდგენილი. მაგალითად, ოროგრაფიულ კვანძად შეგვიძლია მივიჩნიოთ მწ. პატარა ბორბალო (თუშეთის დაცული ტერიტორიები), რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე, მას ერთვის ჩრდილოეთიდან აწუნთის, ხოლო სამხრეთიდან კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის განშტოება მწ. დიდი ბორბალოსკენ. მის მიდამოებში სათავეს იღებს: მდ. ალაზანი, თუშეთის ალაზანი და ანდაქისწყალი. ხოლო თუკი ერთ ოროგრაფიულ კვანძად გავაერთიანებთ მწ. პატარა ბორბალოდან ქედის სამხრეთ განშროებას მწ. ანწუხელიძემდე, ამ კვანძში თავს მოიყრის კიდევ 2 ქედი - კახეთისა და ქართლის და 2 მდინარე - იორი და ფშავის არაგვი.

- **ჰიდროლოგიური კვანძები** - ჰიდროლოგიურ კვანძად შეიძლება მივიჩნიოთ ის ადგილები, სადაც თავს იყრიან მდინარეთა შენაკადები. მთებში წამოდგენილია მარტივი ჰიდროლოგიური კვანძები, რომლებიც ტურისტული ბილიკების

დაგეგმარებისას საინტერესო ადგილს წარმოადგენენ, რადგან არიან გზაგასაყარნი სხვადასხვა ხეობის და შესაბამისად შესაძლოა მოეწყოს ბილიკთა გზაგასაყარიც. მადალითად ილტოს აღკვეთილში, ზემო წელში მდ. ილტოს დაახლოებით 400 მ.-ის მონაკვეთზე ერთვის საკანაფოს ხევი (მარცხნიდან) და ბოხევისხევი (მარჯვნიდან), ასევე აღკვეთილის ტერიტორიაზე მას ერთვის: ჭირისხევი (მარცხნიდან), მშრალხევი და კიტარისხევი (მარჯვნიდან).

- **მცენარეთა გავრცელების კვანძები** - მცირე ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის მცენარეთა გავრცელების არეალები ძირითადად თანხვედრაშია მთისა და ბარის, ასევე ჰიდროლოგიურ კვანძებთან. მისი გამოყენება შესაძლებელია სამეცნიერო-შემეცნებით ტურიზმში. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ დედოფლისწყაროს შემოგარენი - დაშლოვანის დაცული ტერიტორიები.

- **ლანდშაფტური კვანძები** - საშუალო სირთულის ლანდშაფტური კვანძები გარკვეულწილად ემთხვევა მცენარეულ კვანძებს, ხოლო რთული დაკავშირებულია კლიმატურ კვანძებთან. ლანდშაფტური მრავალფეროვნება აუცილებლად წარმოდგენილია იმ ტურისტულ მარშრუტებზე, სადაც მცირე მონაკვეთში ბილკი დიდი ვერტიკალურ ცვლილებას განიცდის. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შავი კლდეების ტბის ბილიკი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. 3 დღის განმავლობაში ვიზიტორმა უნდა გაიაროს ბილიკი, რომელიც იწყება ქ. ლაგოდეხში ზღ.დ.-დან 500 მ.-ზე, უმაღლესი წერტილი აღწევს თითქმის 3000 მ.-ს (II დღეს) და კვლავ უკან ლაგოდეხში ბრუნდება, ამასთან III დღეს ხდება თითქმის 2200 მ.-იანი ვერტიკალური ცვლილება (2700-500 მ.). ბილიკზე გვხვდება როგორც ჭალის ტყეები, ასევე ალპური მდელოები, ხოლო ვიზუალურად შეგვიძლია დავინახოთ სუბნივალური და ნივალური ზონებიც.[11]

ამრიგად, ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების მეთოდოლოგიის (რომელიც საქართველოში პირველად მოცემულ ნაშრომში იქნა შემუშავებული) გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ რომ ბილიკების დაგეგმარებისას მრავალი ასპექტის გათვალისწინებაა საჭირო. ამ პროცესში თავისი, საკმაოდ დიდი. როლი აქვს გეოგრაფიასაც, საჭიროა რა მოცემული ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება, რათა

[11] წყარო: . „საქართველო გეოგრაფია 4“ - ნ. ელიზბარაშვილი, ი.დევნოზაშვილი „გეოგრაფიული კვანძები“ - თბილისი, 2005 წ

გადაადგილება იყოს უსაფრთხო და მაქსიმალურად კომფორტული. კლიმატური პირობებისა და ჰიფსომეტრიის გათვალისწინებით უნდა გამოვლინდეს ბილიკის მონახულების საუკეთესო პერიოდი, რაც ხელს შეუწყობს ბილიკის დატვირთვის პროგნოზირებას, ეს კი თავის მხრივ უნდა აისახოს კონკრეტული მარშრუტის ინფრასტრუქტურულ საჭიროებაზე. ასევე რუკათა ანალიზისა და GIS ტექნოლოგიების გამოყენებით, შეგვიძლია გამოვავლინოთ ტურისტთათვის მიმზიდველი ახალი ობიექტები და შევადგინოთ ახალი მარშრუტები.

IV თავი
ახალი ტურისტული მარშრუტების დაგეგმარება კახეთის დაცულ ტერიტორიებზე

4.1. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ამჟამად ფუნქციონირებს 1 – 3 დღიანი და 4 – 1 დღიანი ტურისტული ბილიკი, დაგეგმარების პროცესში არის კიდევ ერთი - ხის კენწეროების ბილიკი.

ქვემოთ განხილულია ლაგოდეხის აღკვეთილის ერთი ახალი ტურისტული მარშრუტი, რომელსაც დაგეგმარების შემთხვევაში, ჩემი აზრით, დიდი პოტენციალი გააჩნია:

მართოთის ტბა - მართოთის ტბა მდებარეობს, ლაგოდეხის აღკვეთილში, კახეთის კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, მსხალგორის უღელტეხილის (2989 მ. ზღ.დ.-დან) მახლობლად, მდინარე კაბალის სათავეებში, ზღ.დ.-დან დაახლოებით 2850 მ.-ის სიმაღლეზე. ტბა განიცდის ევტროფიკაციის პროცესს, მასში არსებული მცენარეთა „კუნძულები“ მნახველზე დიდი შთაბეჭდილებას ტოვებს.

მართოთის ტბაზე მოხვედრა შესაძლებელია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ უზუნთალადან. მარშრუტის საწყის ეტაპზე გვხვდება სამანქანე გზა, სადაც გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის ტრანსპორტით. გზა შედის მდინარე კაბალის ხეობაში, შემდგომ უხვევს მარჯვნივ და მიუყვება მსხალგორის ქედის (მდ. კაბალისა და მდ. ჭიაურის წყალგამყოფი) დასავლეთ ფერდობს. სამანქანე გზა 16 კმ.-ს შეადგენს და სრულდება ზღვის დონიდან 1670 მ.-ზე. ბილიკის პოპულარიზაციის

შემთხვევაში სამანქანე გზა, რომელიც საგრძნობლად ამცირებს ფეხით გასავლელ მარშრუტს, დამატებით შემოსავალს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტობავარჩხილის ტბის ბილიკი სოფ. მუხურიდან, რომლის პირველ საბანაკემდე ასასვლელად ვიზიტორები უმეტეს შემთხვევაში ქირაობენ 6X6 სატვირთო ავტომობილებს. სამანქანე გზის დასასრულიდან, ტბამდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის (მისი გავლა შესაძლებელია ცხენითაც) სიგრძე 9-10 კმ.-ს შეადგენს, უშუალოდ ლაგოდეხის აღკვეთილი იწყება ზღ.დ.-დან 1900 მ.-ზე. მთავარი ბილიკიდან 300 მ.-ში მდებარეობს 2204 მ. სიმაღლის მთა - მსხალ-გორი, რომელიც საკმაოდ საინტერესო ხედვის წერტილს წარმოადგენს, იგი ორი მდინარის კაბალისა და ჭიაურის წყალგამყოფზე მდებარეობს, სამხრეთ-დასავლეთით იშლება ხედი ალაზნის ველსა და გომბორის ქედზე, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე. ბილიკზე რამდენიმე ადგილას გვხვდება წყალი. დაბანაკება შესაძლებელია ტბის მახლობლადაც. მთავარი ბილიკიდან მცირე გადახვევის შემთხვევაში შესაძლებეელია 2972 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალზე ასვლაც, რომელიც ლაგოდეხის აღკვეთილისა და ნაკრძალის საზღვარზე მდ. კაბალისა და ნინოსხევის წყალგამყოფზე მდებარეობს. უკან დაბრუნება ხდება იგივე ბილიკით.

მარშრუტის საწყისი და საბოლოო სიმაღლე ზღ.დ.-დან 400 მ; უმაღლესი (მთავარი ბილიკის) – 2870 მ; უმაღლესი შესაძლო (მთავარი ბილიკიდან გადახვევის შემთხვევაში) - 2972 მ. ჯამური სიგრძე 50-52 კმ; საფეხმავლო ბილიკის სიგრძე - 18-20 კმ. ხანგრძლივობა 2-3 დღე. მონახულების პერიოდი ივნისი-ოქტომბერი.

ბილიკზე არსებული გეოგრაფიული ობიექტების **GPS** კოორდინატები:

მთა მსხალ-გორი — 41.927500, 46.230556 (41°55'39.0"N 46°13'50.0"E)

მართოთის ტბა — 41.951667, 46.278056 (41°57'06.0"N 46°16'41.0"E)

2972 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალი — 41.945833, 46.273611 (41°56'45.0"N 46°16'25.0"E)



რუკა 1: *მართოთის ტბის ბილიკი*

4.2. მარიამჯვრის ნაკრძალი

როგორც I თავში ავღნიშნეთ IUCN-ის მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ ბუნების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკაციის I კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე - სახელმწიფო ნაკრძალში, არ არის დაშვებული ტურისტთა გადაადგილება. სწორებ I კატეგორიას განეკუთვნება მარიამჯვრის ნაკრძალი, თუმცა მისი ტერიტორია შეგვიძლია მივიჩნიოთ დასაკვირვებელ ობიექტად. განვიხილოთ შემდეგი ტურისტული მარშრუტი:

მარიამჯვრის ნაკრძალის ჩრდილოეთ საზღვარი კლდოვანია, სწორედ კლდეების ეს ზოლი შეგვიძლია გამოვიყენოთ ხედვის არეალად, საიდანაც გამოჩნდება დაცული ტერიტორია, კლდეებზე შეფენილი სოსნოვსკის ფიჭვის კორომები და ღრმად ჩაჭრილი ხებები ულამაზეს სანახაობას ქმნის.

სურ. 2: *ხედი მარიამჯვრის ნაკრძალზე მისი ჩრდ.-დას. საზღვრიდან*

ვიზიტორი უნდა მოხვდეს გომბორის ქედის მთავარ წყალგამყოფზე, რომელიც მიჯნავს მარიამჯვრის ნაკრძალს მდ. კისისხევის ხეობისგან. აქ მოხვედრა მრავალი ალტერნატიული გზით არის შესაძლებელი. განვიხილოთ ერთ-ერთი მარშრუტი მთა მანავის ცივიდან (1682 მ. ზღ.დ.-დან) კურორტ ცივამდე:

მთა მანავის ცივზე მოხვედრა შესაძლებელია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბურდიანისა (მანავის თემი) და ნასოფლარ თარაქის გავლით. თბილისი-გურჯაანის საავტომობილო ტრასიდან, სოფელი მანავის ბოლოს გზა უხვევს ჩრდილოეთით, ნასოფლარ თარაქის ბოლომდე გაყვანილია გრუნტის გზა, რომლის გავლაც მშრალ პერიოდში ნებისმიერი ტრანსპორტითაა შესაძლებელი, სწორედ ეს პუნქტი უნდა მივიჩნიოთ ბილიკის დასაწყოსად (1150 მ. ზღ.დ.-დან).

ნასოფლარი თარაქიდან მკვეთრი დახრილობის გზა მიუყვება მანავის ცივის სამხრეთ ფერდობს, დაახლოებით 1 კმ.-ში გზის პირზე გვხვდება ძლიერ დაზიანებული გუმბათოვანი ტაძარი - „ვედრებელა“, 3 კმ.-ის გავლის შემდგომ აღმოვჩნდებით მთა მანავის ცივზე. იგი საინტერესო ხედვის წერტილს წარმოადგენს: მდებარეობს გომბორის ქედის მთავარ წყალგამყოფზე; მის აღმოსავლეთ ფერდობზე სათავეს იღებს მდ.

ჩაილურის რამდენიმე მდგენელი, სამხრეთ-დასავლეთით - კალაბნისღელე, ჩრდილოეთით კი მდ. კისისხევის შენაკადი; მანავის ცივის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს ჯაგნისველი, რომელზეც გვხვდება 3 მცირე ზომის ტბა, ერთი მათგანი დაჭაობებულია, მეორე განიცდის ევტროფიკაციის პროცესს, ჯაგნისველზე მწყემსთა სადგომებია განთავსებული; მანავის ცივიდან მოჩანს: გურჯაანის მუნიციპალიტეტის უმაღლესი მთა - დოსთეფე (1523 მ. ზღ.დ.-დან), გომბორის ქედის უმაღლესი მთა - ცივი (1991 მ. ზღ.დ.-დან), კახეთის კავკასიონის და ივრის ზეგანი.

მთა მანავის ცივიდან გზა მიუყვება გომბორის მთავარ წყალგამყოფ ქედს დასავლეთისკენ. დაახლოებით 6 კმ.-ში გვხვდება მარიამჯვრის ნაკრძალის ჩრდ. საზღვარი, საიდანაც შესაძლებელია მასზე დაკვირდება. ეს საზღვარი წარმოადგენს დაახლოებით 1.5 კმ.-ის სიგრძის მონაკვეთს. 2 კმ.-ის გავლის შემდგომ კი ვხვდებით კურორტ ცივზე, რომელიც საავტომობილო გზით უკავშირდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდას (ალტერნატიულ ვარიანტს წარმოადგენს გზის გაგრძელება კურორტ კოდამდე). ბილიკზე რამდენიმე ადგილას გვხვდება სასმელი წყალი, თუმცა წლის მშრალ პერიოდებში (ივლისი-აგვისტო) შრება და მის მოსაპოვებლად საჭიროა ბილიკიდან გადახვევა.

მარშრუტის საწყისი სიმაღლე ზღ.დ.-დან - 1150 მ; საბოლოო - 1600 მ. (კურორტი ცივი); უმაღლესი - 1760 მ. ჯამური სიგრძე: 13 კმ. ხანგრძლივობა: 1-2 დღე. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით, ცხენით, 6X6 სატვირთო ავტომობილით ან სპეციალური მაღალი გამავლობის მქონე ავტომობილით. მონახულება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში, ზამთრის პერიოდში მხოლოდ ფეხით, ამასთანავე გასავლელ მანძილს ემატება გრუნტის გზის მონაკვეთები და ჯამური სიგრძე აღწევს: 28-30 კმ.-ს.

მარშრუტზე არსებულ მთავარ ობიექტთა **GPS** კოორდინატები:

მთა მანავის ცივი — 41.784444, 45.447778 (41°47'04.0"N 45°26'52.0"E)

ბილიკის პირველი წერტილი, რომელიც მარიამჯვრის ნაკრძალის საზღვართან მდებარეობს — 41.782500, 45.386389 (41°46'57.0"N 45°23'11.0"E)

ბილიკის ბოლო წერტილი, რომელიც მარიამჯვრის ნაკრძალის საზღვართან მდებარეობს — 41.791111, 45.370833 (41°47'28.0"N 45°22'15.0"E)



რუკა 2: *მარიამჯვრის ნაკრძალის ბილიკი*

4.3. ილტოს აღკვეთილი

ილტოს აღკვეთილში ამჟამად არ არსებობს არცერთი ტურისტული ბილიკი და ინფრასტრუქტურა. როგორც III თავში ავღნიშნეთ, ილტოს სათავეები შეგვიძლია მივიჩნიოთ მარტივ ჰიდროლოგიურ კვანძად, შესაბამისად აღკვეთილი დასერილია რა მრავალ შენაკადთა ღრმად ჩაჭრილი ხეობებით, მათ წყალგამყოფებზე შესაძლოა მოეწყოს საფეხმავლო ბილიკები, საიდანაც გადაიშლება პანორამული ხედები მდ. ილტოს ხეობაზე. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ილტოს ხეობას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი, ამ ორი დაცული ტერიტორიის საზღვარს წარმოადგენს წოვათას ქედი, რომელიც მდ. ბაწარასა და მდ. ილტოს წყალგამყოფია, ამ ქედზე გავლის შემთხვევაში (რომელზე მოხვედრაც შესაძლებელია ილტოს აღკვეთილიდან) ტურისტს საშუალება ეძლევა დატკბეს ორივე დაცული ტერიტორიის თვალწარმტაცი ხედებით. ილტოს აღკვეთილს ჩრდილო-დასავლეთიდან საზღვრავს კახეთის ქედი, მისი თხემის გავლით ილტოს აღკვეთილი ბილიკებით შეგვიძლია დავაკავშიროთ თუშეთის დაცულ ტერიტორიებს, ამასთანავე ისეთ მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ობიექტს როგორსაც

წარმოადგენს რთული ოროგრაფიული კვანძი - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ განშტოება: მწ. პატარა ბორბალოდან მწ. ანწუხელიძემდე.

განვიხილოთ ერთ-ერთი შესაძლო მარშრუტი:

წრიული ბილიკი კახეთის ქედის თხემის გავლით: აღკვეთილის შესასვლელიდან 200 მ.-ში, მდ. ილტოს მარჯვნიდან უერთდება მდ. კიტარისხევი, სწორედ კიტარისხევისა და მშრალხევის, შემდგომ კი კიტარისხევი-ბოხევისხევის წყალგამყოფით შესაძლებელია კახეთის ქედის თხემზე მოხვედრა. ბილიკი თხემს აღწევს 2280 მ. სიმაღლის უსახელო მთასთან, რომელიც ილტოს აღკვეთილის საზღვარზე მდებარეობს. უსახელო მთა წარმოადგენს საინტერესო ხედვის წერტილს: მის სამხრეთით მდებარეობს მდ. კიტარისხევის ხეობა; ჩრდილო-აღმოსავლეთით - მდ. ბოხევისხევის ხეობა; დასავლეთით სათავეს იღებს მდ. ივრის მარცხენა შენაკადი - ბაბხისხევი (თიანეთის მუნიციპალიტეტი). მთიდან ბილიკი მიუყვება კახეთის ქედის მთავარ წყალგამყოფს, რომლის ჩრდილო-დასავლეთით მდ. ივრის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ილტოს ხეობათა თვალწარმტაცი ხედები იშლება.

თხემიდან მდ. ილტოს ხეობაში დაშვება შესაძლებელია კახეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთი განშტოებით - მდ. ბოხევისხევისა და მდ. ილტოს წყალგამყოფით, იგი მთავარ ქედს 2334 მ. სიმაღლის უსახელო მთასთან გამოეყოფა. სწორედ ამ მთასთან შესაძლებელია მოეწყოს ბილიკის განშტოება, რომელიც კახეთის ქედის გავლით დაუკავშირდება თუშეთის დაცულ ტერიტორიებს (მას კიდევ შევეხებით მომდევნო ქვეთავში). ხეობაში დაშვებისას ბილიკი ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩაუვლის 2020 მ. სიმაღლის დოლათის მთას, ეს მთაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ მოსანახულებელ პუნქტად, აქ გავრცელებულია მეჩხერი ტანბრეცილი ტყე, მის ფერდობზე შესაძლებელია საბანაკე ადგილის მოწყობაც. ხეობაში დაშვების შემდგომ, აღკვეთილის შესასვლელამდე, ბილიკი მიუყვება მდ. ილტოს.

მარშრუტის საწყისი და საბოლოო სიმაღლე ზღ. დ.-დან - 980 მ; უმაღლესი - 2334მ. ჯამური სიგრძე დაახლოებით 25 კმ. ხანგრძლივობა: 2 დღე. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით და ცხენით. აღკვეთილის შესასვლელამდე მისვლა შესაძლებელია მხოლოდ მაღალი გამავლობის მქონე ავტომობილით. ბილიკის მონახულების საუკეთესო პერიოდი: მაის-ოქტომბერი.

მარშრუტზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტთა **GPS** კოორდინატები:

2280 მ. სიმაღლის უსახელო მთა კახეთის ქედზე — 42.268611, 45.129444 (42°16'07.0"N 45°07'46.0"E)

2334 მ. სიმაღლის უსახელო მთა კახეთის ქედზე — 42.295556, 45.160833 (42°17'44.0"N 45°09'39.0"E)

დოლათის მთა — 42.275278, 45.178056 (42°16'31.0"N 45°10'41.0"E)



რუკა 3: *ილტოს აღკვეთილის ბილიკი*

ილტოს აღკვეთილში ტურიზმის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ხეობაში არსებული დაცულ ტერიტორიამდე მისასვლელი ამორტიზირებული გზის რეაბილიტაციას.

4.4. თუშეთის დაცული ტერიტორიები

თუშეთის დაცულ ტერიტორიების ადმინისტრაცია ვიზიტორებს თავაზობს 11 ტურისტულ მარშრუტს. მიუხედავად იმისა, რომ თუშეთი საკმაოდ კარგად არის

ათვისებული ტურისტული კუთხით, აქ არსებული ბუნების მრავალფეროვნება და გეოგრაფიულ ობიექტთა სიმრავლე საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ახალი საინტერესო ებიექტები და გავატაროთ ახალი მარშტურები.

გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს:

ორწყლის ხეობა: საფეხმავლო ბილიკი იწყება თუშეთის ეროვნულ პარკში, აბანოს უღელტეხილთან და მიუყვება კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს (კახეთის კავკასიონს) დასავლეთისკენ. ბილიკი კვეთს ორწყლის უღელტეხილს პერპენდიკულარულად, საიდანაც მოჩანს მდინარე ორწყლის აღმოსავლეთ შენაკადის ხეობა, რომლის სათავეებშიც თოვლის დნობის შედეგად გუბდება მცირე ზომის რამდენიმე ტბა. აბანოს უღელტეხილიდან თხემზე 7 კმ.-ის გავლის შემდგომ, ბილიკი ეშვება, ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, სადაც სუბნივალურ ზონაში, 2818 მ.-ის სიმაღლეზე მდებარეობს საშუალო ზომის ტბა, რომელსაც ოფიციალური სახელწოდება არ გააჩნია, თუმცა ადგილობრივები მას „სამყინვროს“ ტბას უწოდებენ. ტბიდან გამოედინება მდ. ორწყლის ერთ-ერთი მდგენელი. ტბიდან ბილიკი მიუყვება მდ. ორწყლის ხეობა, დაახლოებით 1 კმ.-ში, 2760 მ.-ის სიმაღლეზე, მდებარეობს იდეალური საბანაკე ადგილი, მოსწორებული ტერიტორია, რომლის ორ მხარეს ჩამოედინება სასმელად ვარგისი წყალი, შესაძლებელია ტურისტული თავშესაფრის მოწყობა და ათობით კარვის დატევა.

ბილიკი მიუყვება ორწყლის ხეობას და თუშეთის ეროვნული პარკიდან ინაცვლებს დაცულ ლანდშაფტზე, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიები მდებარეობს (ორწყლის მარჯვენა ფერდობი). მარშრუტზე ორ ადგილას გვხვდება მწყემსთა სადგომები და მცირე ზომის ჩანჩქერებიც.

დასასრულს ბილიკი უხვევს მდ. ორწყლის მარცხენა შენაკადის მდ. ვესტმოსხევის ხეობაში, გაივლის სოფელ ვესტმოს, ადის მდ. ორწყლისა და მდ. თუშეთის ალაზნის წყალგამფზე სოფელ ვესტმომთაში, შემდგომ გაივლის სოფ. ბუხურთასა და სრულდება სოფ. ილურთაში.

მარშრუტის საწყისი სიმაღლე ზღ.დ.-დან - 2826 მ; საბოლო - 2050 მ; უმაღლესი - 3150 მ. ჯამური სიგრძე 28 კმ. ხანგრძლოვობა 2-3 დღე. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით. ბილიკის მონახულების პერიოდი ივლისი-სექტემბერი.

მარშრუტზე არსებულ მნიშვნელოვან ობიეტთა **GPS** კოორდინატები:

ორწყლის უღელტეხილი — 42.290278, 45.483333 (42°17'25.0"N 45°29'00.0"E)

„სამყინვროს ტბა“ — 42.303056, 45.460833 (42°18'11.0"N 45°27'39.0"E)

საბანაკე ტერიტორია — 42.306667, 45.460278 (42°18'24.0"N 45°27'37.0"E)

მწყემსების I სადგომი — 42.326111, 45.491389 (42°19'34.0"N 45°29'29.0"E)

მწყემსების II სადგომი — 42.352500, 45.516944 (42°21'09.0"N 45°31'01.0"E)

მაკრატელას ქედი: სამვრონის უღელტეხილი, უსახელო ტბა და მწვერვალები: საფეხმავლო ბილიკი იწყება თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე, სოფელ წაროსთან (გომეწარი) და მიუყვება მდ. წოვათისწყლის ხეობას. გაივლის ნასოფლარებს: ინდურთასა და ეთელთას. ამ სამივე სოფელში გვხვდება საბრძოლო კოშკთა კომპლექსები. წოვათისწულის ხეობიდან სამვრონის უღელტეხილით (3168 მ. ზღ.დ.-დან), რომელიც კვეთს მაკრატელას ქედს, ბილიკი გადადის მდ. ლაროვნისწყლის ერთ-ერთი შენაკადის ხეობაში (პირიქითა თუშეთი). უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ, ბილიკი მიუყვება დასავლეთისკენ, აღმოსავლეთ ექსპოზიციის მკვეთრად დახრილ ფერდობს. ფერდობზე ასვლის შემდეგ გხვხვდება მცირე ზომის პლატო, სადაც მდებარეობს მცირე ზომის უსახელო ტბა (3243 მ. ზღ.დ.-დან). ტბის ირგვლივ მდებარეობს რამდენიმე B1 სირთულის (რომელიც არ მოითხოვს ალპინისტურ აღჭურვილობას) მწვერვალი: 3560, 3491 და 3203 მ. სიმაღლის. ასევე უფრო რთული (სავარაუდოდ B2 და B3) კატეგორიის (მოითხოვს აღჭურვილობასა და სპეციალურ შემზადებას) ალპინისტებისთვის საინტერესო 3405 და 3483 მ. სიმაღლის მწვერვალები. ტბიდან ბილიკი ეშვება ჩრდ. ექსპოზიციის მკვეთრად დახრილ ფერდობზე, კვეთს მდ. ლაროვნისწყალს და მიუყვება მის ხეობას ნასოფლარ ჰეღომდე. ხოლო ჰეღოდან მიუყვება მდ. თუშეთის ალაზანს და მთავრდება სოფ. გირევში. ბილიკი მოიცავს თუშეთის დაცული ლანდშაფტისა და ეროვნული პარკის ტერიტორიებს.

მარშრუტის საწყისი სიმაღლე ზღ.დ.-დან - 2000 მ; საბოლოო - 2050მ; უმაღლესი - 3560 მ. ჯამური სიგრძე დაახლოებით 40 კმ. ხანგრძლივობა 3-4 დღე. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით. ბილიკის მონახულების პერიოდი ივლისი-სექტემბერი.

მარშრუტზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტთა **GPS** კოორდინატები:

სამვრონის უღელტეხილი — 42.443611, 45.372222 (42°26'37.0"N 45°22'20.0"E)

უსახელო ტბა — 42.444444, 45.343333 (42°26'40.0"N 45°20'36.0"E)

3560 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალი — 42.435000, 45.343611 (42°26'06.0"N 45°20'37.0"E)

3491 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალი — 42.437222, 45.339167 (42°26'14.0"N 45°20'21.0"E)

3203 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალი — 42.450000, 45.350833 (42°27'00.0"N 45°21'03.0"E)

მწვერვალი ამუღო: მწ. ამუღო მდებარეობს აწუნთის ქედის მთავარ წყალგამყოფზე, წარმოადგენს თუშეთისა და პირიქითა ხევსურეთის, შესაბამისად თუშეთის ეროვნული პარკისა და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის საზღვარს. მისი სიმაღლე 3839 მ.-ს შეადგენს და იგი ერთ-ერთი უმაღლესია საქართველოში არსებულ იმ მწვერვალთაგან, რომლის დაძლევაც ალპინისტური აღჭირვილობისა და სპეციალური შემზადების გარეშეც შესაძლებელია (B1 კატეგორია). მწვერვალი წარმოადგენს საკმაოდ მაღალი ესთეტიური ღირებულების ხედვის წერტილს. მის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე გვხვდება მცირე ზომის თანამედროვე მყინვარები. ჩრდილოეთ ფერდობზე სათავეს იღებს მდ. ქვახიდისწყლის ერთ-ერთი მდგენელი; აღმოსავლეთ ფერდობზე მდ. ლაროვნისწყალი; ხოლო დასავლეთ ფერდობზე მდ. ანდაქისწყლის ერთ-ერთ მდგენელი. მწვერვალზე მოხვედრა შესაძლებელია მწ. პატარა ბორბალოდან (3134 მ.) აწუნთის ქედის ტრავერსის გავლით. აწუნთის ქედის თხემზე მწ. ამუღომდე წარმოდგენილია რამდენიმე უსახელო მთა, მათგან ყველაზე მეტად აღსანიშნავია (უმაღლესია) 3715 მ. სიმაღლის მწვერვალი.

მწ. პატარა ბორბალოზე მოხვედრა შესაძლებელია თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული მე-11 ბილიკით: **ომალო-ალაზნისთავი-ხევსურეთი.** სწორედ ამ ბილიკის განშტოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ მწ. ამუღოც.

პატარა ბორბალოდან ამუღომდე მანძილი - 8 კმ. ასვლა და უკან დაბრუნება საჭიროებს 1 დღეს. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით. ბილიკის მონახულების პერიოდი ივლისი-სექტემბერი.

მარშრუტზე არსებულ მწვერვალთა **GPS** კოორდინატები:

მწ. პატარა ბორბალო: 42.432500, 45.235556 (42°25'57.0"N 45°14'08.0"E)

მწ. ამუღო: 42.473056, 45.273333 (42°28'23.0"N 45°16'24.0"E)

3715 მ. სიმაღლის უსახელო მწვერვალი: 42.465556, 45.275556 (42°27'56.0"N 45°16'32.0"E)

თუშეთის დაცული ტერიტორიები — ილტოს აღკვეთილი: როგორც ნაშრომის წინა თავებში ავღნიშნეთ, მწ. პატარა ბორბალოდან კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ განშტოება მწ. ანწუხელიძემდე წარმოადგენს რთულ ოროგრაფიულ კვანძს, სწორედ ამ ადგილას არის შესაძლებელი ბილიკთა მთელი კომპლექსის შექმნა. მწ. პატარა ბორბალოდან, მწ. დიდი ბორბალოსა და ანწუხელიძის ტრავერსის გავლით, ბილიკი ხვდება კახეთის ქედის მთავარ წყალგამყოფზე, სადაც შესაძლებელია მისი დაკავშირება ილტოს აღკვეთილთან, კერძოდ 2334 მ. სიმაღლის უსახელო მთასთან, რომელიც **4.3** ქვეთავში ვახსენეთ. ბილიკი სრულდება ილტოს აღკვეთილის შესასვლელთან.

მანძილი პატარა ბორბალოდან 2334 მ. სიმაღლის უსახელო მთამდე დაახლოებით 28-30 კმ. ხანგრძლივობა - 2 დღე. გადაადგილება შესაძლებელია ფეხით და ცხენით. ბილიკის მონახულების პერიოდი ივნისი-ოქტომბერი.

მარშრუტზე არსებულ მწვერვალთა **GPS** კოორდინატები:

მწ. დიდი ბორბალო — 42.421389, 45.218333 (42°25'17.0"N 45°13'06.0"E)

მწ. ანწუხელიძე — 42.387500, 45.221944 (42°23'15.0"N 45°13'19.0"E)



რუკა 4: *თუშეთის დაცული ტერიტორიების ბილიკები*

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ასევე შესაძლებელია საჯომარდე ინფრასტრუქტურის შექმნაც, მდ. თუშეთისა და პირიქითა ალაზანზე.

შედარებითი ანალიზი:

თუკი დაცული ტერიტორიების მიხედვით შევადარებთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ახალ მარშრუტებს, გამოიკვეთება შემდეგი:

1) ყველაზე მეტი ახალი ბილიკი დაგეგმარდა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ არეალში უკვე არსებობს 11 ტურისტული მარშტური. ამის განმაპირობებელი ფაქტორი, პირველ რიგში არის დაცული ტერიტორიის ფართობი, იგი ყველაზე დიდია წარმოდგენილ რეგიონში. ასევე ლანდშაფტთა მრავალფეროვნება და რელიეფის სირთულე, ერთი მხრივ, განაპირობებს ტურისტთათვის მიმზიდველი ობიექტების სიმრავლეს და მეორე მხრივ, ართულებს დაცული ტერიტორიების ათვისებას. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ არ მომხდარა თუშეთის სრული შესწავლა ტურისტული გამოყენების კუთხით. ვფიქრობთ, ნაშრომში აღწერილი ბილიკების გარდა კიდევ შესაძლებელია სხვა მარშრუტების შემუშავება.

2) თუშეთის შემდგომ ყველაზე მეტი მარშრუტი დაგეგმარდა ილტოს აღკვეთილში. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის ის რომ აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე ამ დროისთვის არ არსებობს არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა და ბილიკები, შესაბამისად ჩვენი კვლევის არეალში მოექცა მთლიანი დაცული ტერიტორია. მეორე მხრივ, ილტოს აღკვეთილი ესაზღვრება ბაწარას ნაკრძალს, ხოლო კახეთის ქედით გავლით უკავშირდება თუშეთის ეროვნულ პარკს, ამან საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა ბილიკთა კომპლექტი, რომლებიც სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებს დააკავშირებს ერთმანეთთან.

3) მიუხედავად იმისა, რომ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და უკვე არსებობს 5 ტურისტული მარშრუტი, მაინც მოგვეცა საშუალება, დაგვეგეგმარებინა კიდევ ერთი - მართოთის ტბის ბილიკი. ამის მიზეზად კვლავ აღნიშნული ტერიტორიის ბუნებრივი მრავალფეროვნება უნდა მივიჩნიოთ.

4) მიუხედავად იმისა, რომ I კატეგორიის დაცული ტერიტორიაზე - სახელმწიფო ნაკრძალში, ტურისტთა შესვლა აკრძალულია, მაინც წარმოვადგინეთ ბილიკი, რომელიც მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალთან არის დაკავშირებული. ამის საშუალება მოგვცა მის ჩრდ. საზღვართან არსებულმა რელიეფის ისეთმა ფორმამ (კლდეებმა) რომელიც საუკეთესო პირობებს ქმნის ხედვის წერტილთათვის, წარმოდგენილია რა ფართე პანორამები.

დასკვნები:

ამრიგად, განვიხილეთ რა დაცული ტერიგორიების როლი ტურიზმის განვითარებისთვის, ტურისტულ მარშრუტთა დაგეგმარების მეთოდოლოგია და წარმოვადგინეთ საკვლევი რეგიონის - კახეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული პოტენციალი, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტებით, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვენები:

ტურიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. წარმოვადგინეთ რა მსოფლიოში დაცული ტერიტორიებისა და ტურიზმის

ურთიერთკავშირი (I თავი), დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მზგავს ტერიტორიებს აქვთ უდიდესი როლი ამ სფეროს განვითარებაში.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ბუნების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც 6 კატეგორიისგან შედგება, 5 მათგანის გამოყენება შესაძლებელია ტურისტული კუთხითაც. ამასთან ყოველ მათქანს აქვს რა თავისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ნიშნები, თითოეულ მათგანში მოწყობილ ტურთა სპეციფიკაც შესაძლოა იყოს განსხვავებული. შესაბამისად დაცულ ტერიტორიათა ქსელი ქნის ფართო სპექტრს ეკოტურიზმისთვის.

კახეთის დაცული ტერიტორიების შედარებითი გეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე (II თავი), დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კახეთის ლანდშაფტური მრავალფეროვნება იძლევა სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა ტიპის ტურისტული მარშრუტების შექმნის საშუალებას. ამის მთავარი განმაპირობებელი ფაქტირი არის რელიეფი და მისგან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების განფენილობა ზღ. დ.-ის მიხედვით, როგორც ზევით ავღნიშნეთ 88 მ.-დან (მიჯნისყურე) – 4492 მ.-მდე (ტებულოსმთა). მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით (I თავი) იმ დაცულ ტერიტორიებს უფრო მეტი ვიზიტორი სტუმრობს, სადაც ერთდროულადაა რგორც მთა ასევე ბარი, ამ კომპლექსს კი სწორედ კახეთში ვხვდებით. ასევე აღსანიშნავია თუშთა ეთნოკულტურული თავისებურებანი, როგორც მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა (I თავი) მზგავსი ტრადიციები ტურისტული თვალსაზრისითაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის დაცული ტერიტორიების მონახულებას, აღძრავს რა ვიზიტორებში ამ ტრდიციათა გაცნობისა და მათში მონაწილეობის სურვილს.

ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების მეთოდოლოგიის (რომელიც საქართველოში პირველად მოცემულ ნაშრომში იქნა შემუშავებული) გათვალისწინებით (III თავი), შეგვიძლია ვთქვათ რომ ბილიკების დაგეგმარებისას მრავალი ასპექტის გათვალისწინებაა საჭირო. ამ პროცესში თავისი, საკმაოდ დიდი. როლი აქვს გეოგრაფიასაც, საჭიროა რა მოცემული ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება, რათა გადაადგილება იყოს უსაფრთხო და მაქსიმალურად კომფორტული. კლიმატური პირობებისა და ჰიფსომეტრიის გათვალისწინებით უნდა გამოვლინდეს ბილიკის მონახულების საუკეთესო პერიოდი, რაც ხელს შეუწყობს ბილიკის დატვირთვის

პროგნოზირებას, ეს კი თავის მხრივ უნდა აისახოს კონკრეტული მარშრუტის ინფრასტრუქტურულ საჭიროებაზე. ასევე რუკათა ანალიზისა და GIS ტექნოლოგიების გამოყენებით, შეგვიძლია გამოვავლინოთ ტურისტთათვის მიმზიდველი ახალი ობიექტები და შევადგინოთ ახალი მარშრუტები.

საველე და კამერალური (უმეტესად ტოპოგრაფიულ რუკათა ანალიზი) კვლევის შედეგად კახეთის დაცულ ტერიტორიებზე გამოვლინდა ის გეოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული ობიექტები, რომელთა მონახულებაც საინტერესო და მიმზიდველი იქნება ტურისტთათვის. შემუშავდა რამდენიმე ახალი მარშრუტი, შეიქმნა ამ მარშრუტთათვის თემატური რუკები, თუმცა კახეთის დაცული ტერიტორიები კიდევ უფრო მეტი ადგილის მონახულების საშუალებას იძლევა.

ახალ ბილიკთა კვლევის პორცესში (IV თავი), გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა:

1) რიგ გეოგრაფიულ ობიექტებს (ტბა, მწვერვალი) არ აქვთ ოფიციალური სახელწოდეები. რაც ხელს უშლის ამ ადგილთა პოპულარიზაციას.

2) ილტოს აღკვეთილთან მისასვლელი საავტომობილო გზა არის ამორტიზირებული.

3) დასახვეწია უსაფრთხოების სისტემა, მაგალითად ბილიკთა გზაჯვარედინებზე საჭიროა ინფორმაციული ყუთების დამონტაჟება (იხ. თავი I).

4) სასურველია ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი საფეხმავლო ბილიკების მარკირება.

ამ პრობლემების მოგვარება, ასევე ნაშრომში მითითებული ბილიკების მოწყობა და პოპულარიზაცია, ხელს შეუწყობს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდასა და უსაფრთხო გადაადგილებას.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საკვლევი ტერიტორიის - კახეთის დაცული ტერიტორიები, მრავალ ფაქტორთა გათვალისწინებით, წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას ტურიზმის განვითარებისთვის. ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს ამ პროცესს, რაც დადებითად აისახება მოცემული რეგიონის მცხოვრებთა ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. სერგი მაკალათია „თუშეთი“ - თბილისი, 1983 წ. (ორიგინალი: ტფილისი 1933 წ.)

2. „საქართველო გეოგრაფია 4“ - ნ. ელიზბარაშვილი, ი.დევნოზაშვილი „გეოგრაფიული კვანძები“ - თბილისი, 2005 წ.

3. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 5“ - თბილისი, 1980 წ.

4. დალი ნიკოლაიშვილი „საქართველოს ლანდშაფტების სივრცე-დროითი ანალიზი“ – 2012 წ.

5. ნ. ბერუჩაშვილი „კავკასიის ლანდშაფტური რუკა“ – 1979 წ.

6. https://www.statista.com/statistics/254231/number-of-visitors-to-the-yellowstone-national-park-in-the-us/

7. https://www.statista.com/statistics/254232/number-of-visitors-to-the-yosemite-national-park-in-the-us/

8. https://www.nps.gov/yose/planyourvisit/upload/campgroundmap2013.jpg

9. https://tourlib.net/statti_tourism/sycheva.htm

10. https://bit.ly/2BVvBQl

11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/78820?publication=0

12. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/tusheti-nazi/etnosi

13. https://mygeorgia.ge/

14. https://www.iucn.org/

15. http://apa.gov.ge/ge/

16. https://www.google.ge/maps/

17. https://www.nps.gov/yose/index.htm

18. https://www.facebook.com/pg/ბაწარა-ბაბანეურის-დაცული-ტერიტორიებიBatsara-Babaneuri-Protected-Areas-149291181796392/notes/?ref=page_internal